სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 12 მაისი 2004 №106 (2125) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი 0:2 დინამო სკანდალით გაგრძელდა

არბიტრ ჯახა მესხს შეხვედრის მერე მატჩის ინსპექტორისთვის უთქვამს, თამაშის წინა დღეს დამირეკეს და მითხრეს, თუ „დინამომ" ვერ მოიგო, შენს ოჯახს დიდი პრობლემები შეექმნებაო.



მატჩის მერე მეტოქე გუნდების ხელმძღვანელები ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობნენ

დინამოს მმართველი დირექტორი დავით ჰეტრიაშვილი კიევიდან:

ეს აბსურდია!

სკანდალი თუ აბსურდი?



ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

ახალი სკანდალი ქართულ ფეხბურთში. აქ მოკლედ საქმის ვითარებაზე, უფრო წვრილად კი ოთარ გუნთაძის ქვემორე ინტერვიუდან შეიტყობთ. გუნთაძე კვირას გამართული საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტურის ცენტრალური მატჩის, „თბილის“—„დინამოს“ ინსპექტორი იყო და მოსალოდნელი სკანდალიც ამ ერთი შეხედვით უსკანდალოდ ჩავლილი თამაშის გარშემო გორდება.

საჩემპიონოდ შერაცხული შეხვედრის არბიტრობა სამსაჯო კომიტეტმა კახა მესხს ანდო. ნამატჩევს მეტოქეთა თავკაცობას მსაჯობაზე ძვირი არ დასცდენია, მესხის გარჯით გუნთაძეც კმაყოფილი დარჩენილა და კიდეც მიულოცავს კოლეგისთვის მძიმე 90 წუთის ღირსეულად ჩათავება, მაგრამ... სწორედ იქ, „ისნის“ გასახდელში ითქვა სიტყვები, რომელმაც, შესაძლოა, დიდი აურზაური გამოიწვიოს.

საქმე ისაა, რომ მესხს გუნთაძისთვის გაუმხელია, მატჩის წინა დღეს დამირეკეს, თუ ხვალ „დინამომ“ ვერ მოიგო, შენს ოჯახს დიდი პრობლემები შეექმნებაო. გუნთაძემ ამის შესახებ გუშინწინ, ორშაბათს სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას აცნობა, გუშინ კი ჩვენც გაგვესაუბრა...

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

— ბატონო ოთარ, რა მოხდა?

— როცა გადაწყდა, რომ „თბილის“ — „დინამოს“ კახა მესხი განსჯიდა, მე კი მატჩის ინსპექტორი ვიქნებოდი, მერაბ ჟორდანიამ ყველა თავისთან დაგვიბარა და გვითხრა, იცით, როგორი პრინციპული, შესაძლოა, გადამწყვეტი თამაშიც გამოდგეს და გთხოვთ, იყოთ ძალიან ობიექტურნი და სრულად მობილიზებულნიო.

სტადიონზე თამაშამდე საათნახევრით ადრე მივედი, მსაჯთა ბრიგადაც დროულად გამოცხადდა და მე, როგორც მატჩის ინსპექტორმა, წესისამებრ, მსაჯებს სპეციალური ინსტრუქტაჟი ჩავუტარე. ხაზგასმით და გულწრფელად ვამბობ, კახა მესხის და მისი თანაშემწეების მხრიდან არაობიექტურობა და მიკერძოება არ ყოფილა. მსაჯებს ჰქონდათ მცირე შეცდომები, მაგრამ მათ შედეგზე გავლენა ნამდვილად არ მოუხდენიათ.

— აბა, რა მოხდა?

— თამაშის მერე, გასახდელში მსაჯებს რომ მივულოცე, უცებ, კახა მესხი მეუბნება, თამაშის წინა დღეს დამირეკეს და სიტყვა-სიტყვით ასე მითხრეს, თუ „დინამო“ არ მოიგებს, შენს ოჯახს ძალიან დიდი პრობლემები ექნება, შვილებსაც კი გადასწვდნენო.

— კი მაგრამ, მესხმა თამაშამდე რატომ არ გითხრათ ეს?

— არ ვიცი.

— არც დაინტერესდით?

— ბუნებრივია, ვკითხე, რატომ აქამდე არ მითხარი-მეთქი. მიპასუხა, იმდენად ვიყავი ჩემს თავში დარწმუნებული, რომ მატჩს კარგად ვიმსაჯებდი, თქმა საჭიროდ აღარ ჩავთვალეო.

— მესხმა იცის, ვინ დაემუქრა?

— არ ვიცი, შეიძლება, იცის, შეიძლება, არა. მას, უბრალოდ, არ შეუძლია თქვას, თუ ვინ შეაშინა, ვაითუ მერე ოჯახს პრობლემები შეექმნას.

— მესხმა მომხდარი თქვენ შეგატყობინათ. თქვენ ვილას?

— რა თქმა უნდა, ფედერაციას. ხელმძღვანელობა, პრეზიდენტ ჟორდანიას ჩათვლით, საქმის კურსშია. ჟორდანია მომხდარით აღშფოთებულია, აუცილებლად გამოვიკვლევთ და სათანადო ზომებსაც მივიღებთო.

— „დინამოს“ თუ აცნობეთ, რაც მოხდა?

— ვალდებული არ ვიყავი, „დინამოსთვის“ რაიმე მეთქვა, მე ფედერაციას ვაცნობე.

— ეს როდის მოხდა?

— თამაშის მეორე დღესვე. ის კი ნამდვილად არ ვიცი, ფედერაციამ „დინამოს“ დაურეკა თუ არა.

— „დინამო“ ახლა კიევშია ლობანოვსკის ტურნირზე. კლუბს უფროსობაც თან ახლავს. ნუთუ ფედერაციამ აქამდე არ აცნობა „დინამოს“, რაც მოხდა?

— მერწმუნეთ, მე ნამდვილად არაფერი ვიცი.

— „თბილისს“ აქვს რაიმე პრეტენზია?

— არ ვიცი, მათ არაფერი უთქვამთ. ვიმეორებ, ტენდენციურობას ადგილი ნამდვილად არ ჰქონია, კახა მესხმა სუფთად, ჩინებულად იმსაჯა და მე, როგორც მატჩის ინსპექტორმა, შესაბამისი შეფასებაც დავუწერე.

გიორგი ვაშაკიძე

გუშინვე კიევში „დინამოს“ მმართველ დირექტორს, დავით პეტრიაშვილს დავუკავშირდით, რომელმაც ეს ამბავი ძალიან გაიკვირვა, პირველად თქვენგან მესმის, საკომენტარო არაფერი მაქვს, ეს ყველაფერი დიდი აბსურდიაო.

დინამოს ძლიერი დაცვა ჰყავს
თან ინტერპოლიც იქვეა

დღეს, ჩვენი დროით 17 საათზე, თბილისის „დინამო“ ლობანოვსკის ტურნირზე პირველ მატჩს ჩაატარებს კიევში, ლობანოვსკის სახელობის სტადიონზე თბილისელები ესენგეს თასიდან კარგად ნაცნობ ტირასპოლის „შერიფს“ დაუპირისპირდებიან.

კიეველებმა ქართველებს დაცვაც დაუყენეს. „ბერკუტის“ ზორა ბიჭები დღე და ღამე ყარაულობენ სასტუმრო „რუსს“. სხვათა შორის, ამავე სასტუმროში იმართება ინტერპოლის მსოფლიო სემინარიც. თბილისელთა ავტობუსიც „მერსედეს ML 20“-ების ესკორტით გადაადგილდება კიევის ქუჩებში. გუშინ დინამოელებმა ლობანოვსკის ძეგლი მოინახულეს და პატივი მიაგეს დიდი მწვრთნელის ხსოვნას.

გუშინ „დინამოს“ კაპიტან გიორგი შაშიაშვილს და ლადო ბურდულს შევეხმიანეთ...

გიორგი შაშიაშვილი: ტურნირს საკმაოდ სერიოზულად ვეკიდებით, საქმე ხომ ქართული ფეხბურთის და „დინამოს“ პრესტიჟს ეხება. თანაც ესენგეს თასის მერე ერთ-ერთ ფავორიტადაც გვთვლიან და წინასწარ ამბობენ, რომ ფინალში ერთმანეთს ორი „დინამო“ შეხვდება.

— „შერიფთან“ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებთ?

— თამაშს ძირითადი გუნდი დაიწყებს, მერე ვნახოთ. შეიძლება სიტუაციის მიხედვითაც იმოქმედოს მწვრთნელმა. ხელმძღვანელობამ უკვე თქვა კიდეც, რომ საკმაოდ გადაღლილები ვართ და დასვენება არ გვაწყენდა. თუმცა ფინალში გასვლის შემთხვევაში, ალბათ ძირითადი შემადგენლობით მოგვიწევს თამაში.

— „დინამოსთან“ კონტრაქტი რამდენიმე დღეში გიმთავრდება. ეს ტურნირი ერთ-ერთი შანსიცაა, რომ კარიერა რუსეთში ან უკრაინაში მაინც გააგრძელო...

— ხელმძღვანელობამ უკვე მაგრძნობინა, რომ კიევიდან დაბრუნების შემდეგ ჩემთან ლაპარაკი სურთ... ალბათ კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე, თუმცა რეალური ვარიანტები თუ გამოჩნდება, არც წასვლაზე ვიქნები უარს. საერთოდ კი, მსურს, ტურნირზე ბოლომდე დავიხარჯო და რაც შემიძლია, ვითამაშო.

ლადო ბურდული: კლუბის ხელმძღვანელობამ გვითხრა, კიევში იმ ფეხბურთელებს გამოვცდით, ვისიც გვეიმედება, მაგრამ ჯერ ფორმაში არ არიანო. ასეთებად კი მე და მელქაძე დაგვასახელეს.

— მზად ხარ ამისთვის?

— ბოლომდე ჯერ არ ვარ მზად და ვგრძნობ, გამიჭირდება, მაგრამ ეს ორი თამაში ფორმაში ჩასადგომად რომ დამეხმარება, ფაქტია. თანაც თბილისში ჩამოსვლისთანავე ეროვნულ ჩემპიონატშიც უძნელესი მატჩი გველის „ვიტ ჯორჯიასთან“ და ძალიან მინდა, მზად ვიყო.

— კიეველები ხომ არ მოგინახულებია?

— არა, მაგრამ ამას აუცილებლად გავაკეთებ. თანაც ძალიან მინდა, აქ დავამტკიცო, რომ ჩემთან მიმართებაში შეცდნენ. გუშინ ამისულაშვილიც ვნახეთ და გვითხრა, კიეველები ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენო.

— როგორ ფიქრობ, ესენგეს თასი უფრო რთული მოსაგებია თუ ლობანოვსკის ტურნირი?

— ესენგეს თასი მაინც სხვა მასშტაბის და დონის ტურნირი იყო. მოსკოვში თხუთმეტი ქვეყნის საუკეთესო კლუბი თამაშობდა, აქ კი მხოლოდ ოთხია. ბუნებრივია, ჩვენ ლობანოვსკის ტურნირის მოგებაც გვსურს, მაგრამ... ის შემადგენლობა რომ შეგვენარჩუნებინა, რაც ესენგეზე გვყავდა, ასი პროცენტით ვიქნებოდი დარწმუნებული ჩვენს გამარჯვებაში...

დავით ერაძე

ვალერი ლობანოვსკის ტურნირმა კიევში საკმაო ინტერესი გამოიწვია. უკრაინის დედაქალაქში უამრავი საპატიო სტუმარი ჩავიდა. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის ნაკრების ვეტერანები, რომლებიც საჩვენებელ მატჩს გამართავენ კიევის „დინამოს“ ვეტერანებთან. კიევში ჩადიან ლობანოვსკის ხელდასხმული დღევანდელი ვარსკვლავებიც — ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე. ტურნირს კი ორი უკრაინული ტელეარხი გააშუქებს, ერთ-ერთის მიღება თბილისში აიეტის ანტენტებსაც შეუძლიათ.

რა ხდება თბილისის „დინამოს“ პოტენციური მეტოქის ბანკში და როგორ ემზადება კიევური „დინამო“ ტურნირისთვის, ალეკო ამისულაშვილი გვიამბობს...

კიეველებმა დაიგინეს, მოვიგებთო



— რამდენად მნიშვნელოვანია კიევის „დინამოსთვის“ ლობანოვსკის ტურნირი და ათამაშებს თუ არა ალექსი მიხაილიჩენკო კიეველთა ძირითად შემადგენლობას?

— მიხაილიჩენკომ ტურნირის დაწყებამდე ასეთი რამ თქვა, ეს ტურნირი ჩვენი გუნდის გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ ისეთი კაცის სახელს ატარებს, უფლება არ გვაქვს, სრული სერიოზულობით არ მივუდგეთო. ამიტომ ვფიქრობ, კიეველები საუკეთესო შემადგენლობით ითამაშებენ.

— თავად ფეხბურთელები რას ფიქრობენ?

— აქ დამოკიდებულება სერიოზულია, კონკურენცია დიდია და მოედანზე გასული ნებისმიერი ფეხბურთელი თავს არ დაზოგავს. ყველა ერთს ამბობს — „მოგება მოგვთხოვეს? — ესე იგი, მოვიგებთ!“

— ამ ტურნირზე შენი თამაშის ალბათობა როგორია?

— ალბათ ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ მეორე გუნდის შემადგენლობაში უნდა მეთამაშა, მაგრამ მიხაილიჩენკოს უთქვამს, ამისულაშვილი და ფიოდოროვი მხოლოდ ერთი ტაიმი ათამაშეთ, მე დამჭირდებიანო.

— ფინალში ორი „დინამოს“ შესაძლო დაპირისპირებაზე თუ ლაპარაკობენ?

— ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს. მგონი, ამ ტურნირის დანარჩენ ორ მონაწილეს, „შერიფს“ და „სკონტოს“ თბილისური და კიევური კლუბები ერთი თავით მაინც უნდა აღემატებოდნენ.

დავით ერაძე

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 15 ლიგა
მეორე ეტაპი
8 ტური
გადადებული მატჩი

გორი. 12 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია



ბადრი კვირკელიას ფოტო

მზეო, ამოდი, ამოდი...

წვიმა ჩემპიონატს ასველებს
გორი მზეთუნახავი გახდა

ისევ გორი, ისევ „დილა“ და „ვიტ ჯორჯია“, იგივე მსაჯები და... ისევ წვიმა. კვირას „თენგიზ ბურჯანაძეზე“ თავსხმის გამო ჩაშლილი მატჩი პროფლიგამ სადღეისოდ კი გადმოიტანა, მაგრამ გორში ისე შეკრა ცამ პირი, თუ არ გამოიდარა, ვინძლო, დღესაც არ შედგეს „დილა“—„ვიტ ჯორჯია“.

ჩვენთან ისევ წვიმს, სტადიონზე წყალია და თუ ხვალაც ასე იწვიმა, თამაში ნაღდად არ გამოვაო, გვითხრა „დილას“ თავკაცმა ზურაბ ხორგუაშვილმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ. თუმც, ბუნებრივია, „დილა“ მატჩისთვის ემზადება და ყველა ფეხბურთელიც მწყობრში ჰყავს.

ჩემპიონატის მერვე ტურმა დიდი ხმაური მოიყოლა, კვლავაც ბევრი ითქვა ჩაწყობა-გარიგებაზე. ამასთან დაკავშირებით ხორგუაშვილსაც დავეკითხეთ. მისი გუნდი უმოტივაციოდაა დარჩენილი, „ვიტ ჯორჯიას“ კი ჩემპიონობის პრეტენზია აქვს.

— ჩვენ არავისთან გარიგებას არ ვაპირებთ. „დილასთვის“ სპორტული პრინციპები მნიშვნელოვანია, ამიტომაც, რაც შეგვიძლია იმას ვითამაშებთ — გვითხრა ხორგუაშვილმა.

პაატა კვანტალიანი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა

ფეხბურთი
დავით ყიფიანის
თასის ფინალი
დინამო თბილისი

გორპედო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. შობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

ფედერაციის პრესფემინიზაცია
დანარჩენი პარასკევს იყოს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სტრუქტურულ-საკადრო ცვლილებები საკმაოზე მეტ ხანს გაჭიანურდა, თუმცა, ჩანს, ფედერაცია ამ კვირაში საბოლოოდ ჩამოყალიბდება და დაკომპლექტდება.

ჯერჯერობით ის ვიცით, რომ ფედერაციაში გაუქმდება ყველანაირი დეპარტამენტი და კომიტეტი, იქნება ერთიანი სისტემა და ფეხბურთის განვითარებისთვის საჭირო ყველა მიმართულებას ეყოლება თავისი ხელმძღვანელი. პრიორიტეტულად რა მიმართულებები ჩაითვლება, ზუსტად ჯერ ვერ გეტყვით. თუმც ვიცით, რომ ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობას, რაც ამავდროულად პრესსამსახურადაც შეგვიძლია ჩათვალოთ, ეკა გაბაშვილი უხელმძღვანელებს. უცვლელი დარჩება ფედერაციის ფინანსურ საქმეთა განმგებელიც, ის გერა ხეცურიანი იქნება. სავარაუდოდ, ლშინდა, სალიხბუ, რთო საკითხებს — რეგიონ ბიუროებ. მიხედავს, თავისი შეფი ეყოლება ასევე მარკეტინგის მიმართულებასაც.

მოკლედ, ფეხბურთის ფედერაციაში დიდი ცვლილებები გრძელდება და, რა როგორ დამთავრდება, ამის თქმას, ალბათ, კვირის ბოლოს შევძლებთ, ყოველ შემთხვევაში, ფედერაცია პარასკევისთვის გეგმავს ახალი სახელებისა და მიმართულებების გამოცხადებას.

კობა ინასარიძე

რაღაც იყო. რა იყო?

უმაღლესი ლიგის მსგავსად, პირველი ლიგის ბოლო ტურებსაც დიდი ხმაური მოჰყვა. გუშინწინ წყალტუბოში თამაში სკანდალურად დამთავრდა.

„სამგურალი“ და „რუსთავი“ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვიან. წყალტუბოში მოგებით რუსთაველები ფაქტობრივად, პლეი ოფის გარეშე ინაღდებდნენ უმაღლესლიგელობას და ვარლამ კილასონიას გუნდიც, ახალგაზრდა მწვრთნელის ხელში წარმატებით რომ თამაშობს მეორე წრეში, მოსაგებად ჩავიდა იმერეთში. თავის მხრივ, მოგება სურდათ მასპინძლებსაც — ასეთ შემთხვევაში ხომ „რუსთავი“ წყალტუბოელთა დამწევი აღარ იყო და „სამგურალიც“, ფაქტობრივად, უმაღლესის საგზურს დაიბევებდა.

ახლა მთავარი: თამაში უგოლო ფრისკენ მიექანებოდა, 90-ე წუთი იყო...



ბადრი კვირკელიას ფოტო

ვარლამ კილასონია ავთანდილ ორდინიძის ჩასტვენილმა აღაშფოთა

— მეტოქემ ჯარიმიდან ჩამოაწოდა, მეკარემ ბურთი დაიჭირა, მაგრამ რამდენიმე წყალტუბოელი დაეჯახა. წაქცეულს ბურთი ხელიდან გაუვარდა, ერთ-ერთმა წყალტუბოელმა დაარტყა და ზაზაშვილს ხელზე მოხვდა. მსაჯმა ჩასტვინა, ვიფიქრე, მეტოქე დაჯარიმა მეკარეზე თავდასხმისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პენალტი დანიშნა ჩვენს კარში. იმ ეპიზოდისას საჯარიმოში დიდი არეულობა იყო. მსაჯმა ყველაფერი თუ დაინახა, მით უარესი, მაშინ მეკარეზე თავდასხმა უნდა დაეფიქსირებინა. რა უნდა ვიფიქრო ასეთ დროს, ვიღაცას ჩვენი წაგება აწყობდა და მიაღწია კიდეც საწადელს — გვითხრა გუშინ „რუსთავის“ თავკაცმა *ვარლამ კილასონიამ,* რომელსაც თითქმის ხუთი წუთი დასჭირდა მსაჯის გადაწყვეტილებით აღშფოთებული ფეხბურთელების დასაწყნარებლად. გამშველებლებს რომ არ ეყოჩაღათ, არბიტრ ავთანდილ ორდინიძეს მართლაც ცუდი დღე დაადგებოდა. რუსთაველთა თქმით, მატჩის განახლების შემდეგ ორდინიძეს ძირითად დროს დამატებული სამი წუთი აღარ გახსენებია და ერთ წუთში დაამთავრა თამაში.

— ძალიან ბინძურია ქართული ფეხბურთი, იმასაც კი ვფიქრობ, აქვს თუ არა აზრი ჩემს საქმიანობას — გვითხრა იმედგაცრუებულმა კილასონიამ.

გუშინვე „სამგურალ“ — „რუსთავის“ არბიტრ *ავთანდილ ორდინიძესაც* შევეხმიანეთ:

— პენალტი იყო. ჩაწოდებისას მეკარეს ხელიდან გაუვარდა ბურთი, ამას წყალტუბოელთა დარტყმა მოჰყვა და რუსთაველ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა.

— თუ ასე იყო, ბოლო იმედის ჯარიმისთვის რატომ არ გააძევეთ ზაზაშვილი?

— ბოლო წუთი იყო... თანაც ის ბურთი კარში არ შედიოდა... ამ ეპიზოდმა რუსთაველთა გულისწყრომა გამოიწვია, თუმც საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდე არ მისულა.

ვფიქრობთ, საინტერესოა ამ მატჩის ინსპექტორ *დავით კვინიკაძის* მოსაზრებაც. სფფ-ის ყოფილ გენერალურ მდივანს ოფიციალური პატაკი ჯერ არ შეუდგენია. გუშინ რომ დავურეკეთ, ესღა გვითხრა:

— რაღაც იყო, მაგრამ ინციდენტი არა...

ლუკა თალაკვაძე

1	1	ბრაზილია	840	15	15	ირლანდია	702
2	2	საფრანგეთი	821	16	16	ბელგია	682
3	3	ესპანეთი	790	17	24	ირანი	669
4	5	მექსიკა	742	17	17	პორტუგალია	669
5	6	არგენტინა	740	19	18	კოსტა რიკა	668
5	4	ჰოლანდია	740	20	22	სამხრეთ კორეა	666
7	10	გერმანია	735				
8	9	თურქეთი	732	33	33	საბერძნეთი	643
9	6	ჩეხეთი	729	65	63	უკრაინა	534
10	6	ინგლისი	724				
11	11	იტალია	722	93	88	ალბანეთი	475
11	12	აშშ	722				
13	13	კამერუნი	721	98	98	საქართველო	459
14	14	დანია	704	136	136	ყაზახეთი	330

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

საქართველო ტყემლის ტყეში

გუშინ „ფიფა“ — „კოკა-კოლას“ სააპრილო სარეიტინგო ცხრილი გამოქვეყნდა და, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე — საქართველო კვლავაც ინარჩუნებს ადგილს ასეულში. თუმც, ერთი-ორი ვერმოგება და ჩვენებს 98-ე ადგილიც სანატრელი გაუხდებათ, რაკი სამი ქულითღა უსწრებენ უგანდას და ოთხით რუანდას. ვიეტნამის გადასწრებამდე კი, 95-ე ადგილზე რომ წამოსკუპებულა, ქართველებს არაერთი თვე მოუწევთ ლოდინი. ვინ იცის, ეგებ ერთი წელიც არ ეყოს ამ საქმეს.

ჩვენს მეტოქეთაგან ყველა სამარტო ადგილზეა უკრაინის გარდა. არც არის გასაკვირი, უკრაინელებს ოლეგ ბლოხინის ხელში მოგება არ უნახავთ და ახლა თვით ომანის უკან არიან 65-ე ადგილზე.

რა დროს პრესოზე ნერვიულობაა?! ჯერ უნდა გავიქცე



ბრიტანულმა სააგენტოებმა ბოლო დროს რამდენჯერმე გაავრცელეს ცნობა, რომ „რეინჯერსის“ მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტს შოთა არველაძე ხელს არ აწერს, რადგან პირობები არ აკმაყოფილებს და ალბათ ინგლისური პრემიერლიგის რომელიმე გუნდში გადავიდეს.

უწინდელი კონტრაქტის თანახმად კი შოთამ კიდევ ერთი სეზონი უნდა ითამაშოს „რეინჯერსში“. არველაძეს გუშინ სწორედ ამ საკითხზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— ჯერ სულ სხვა პრობლემებით ვარ დაკავებული. მუხლის ოპერაციის შემდეგ თერაპიულ პროცედურებზე დავდივარ. რაც შეეხება დატვირთვებს, ორი დღეა, რაც ძუნძული დავიწყე.

— სარეაბილიტაციოდ ბოლონიაში აპირებდი წასვლას. გადაიფიქრე?

— ბოლონიაში თუ წახვალ, უკვე მზად უნდა იყო სათანადო ფიზიკური დატვირთვებისთვის, თორემ სხვანაირად იქ მხოლოდ ქალაქის დასათვალიერებლად ჩახვალ.

— შენი აგენტი ივან ბენეში ამ კვირაში ჩამოვა გლაზგოში და ზურაბ ხიზანიშვილის გარდა ალბათ შენზეც დაელაპარაკება „რეინჯერსს“...

— თუ „რეინჯერსთან“ ვერ მოვილაპარაკებთ, შესაძლოა, მართლაც წავიდე სხვაგან. ერთი სიტყვით, ვნახოთ.

— „რეინჯერსმა“ „მონაკოდან“ ხორვატი თავდამსხმელი დადო პრსო შეიძინა — თუ „რეინჯერსში“ დარჩები, ვინ იქნება გუნდის პირველი ფორვარდი?

— ამაზე ახლა სულაც არ ვნერვიულობ, მთავარია ჯანმრთელობა.

— არც კონკრეტულად რომელიმე გუნდში გადასვლაზე ფიქრობ?

— ჯერ ხომ უნდა გავიქცე, ისე სად წავალ?! ახლა კი მხოლოდ ძუნძული შემიძლია...

— შოტლანდიის ჩემპიონატი 16 მაისს მთავრდება — გლაზგოში რამდენ ხანს დარჩები?

— 22 მაისს თბილისში ჩამოვალ.

დავით თავართქილაძე

— „ლოკომოტივი“ სასურველი ვარიანტია შენთვის?

— პირობებს გააჩნია.

— „ტვენტეში“ რა პირობები გაქვს?

— ენსხედელების მადლიერი ვარ. „ტვენტემ“ თავისი შეძლების გათვალისწინებით გამორჩეული პირობები შემიქმნა, მაგრამ 28 წლის ვარ, მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქრო. არჩევისას მატერიალურ მხარეს მივანიჭებ უპირატესობას.

— „ჰერენვენი“, „როდა“ და „ბრედა“ რას გთავაზობენ?

— დღე არ გავა, ამ კლუბებიდან არ შემეხმიანონ. „ტვენტეზე“ უკეთეს პირობებს მთავაზობენ. მეც აქ მირჩევნია თამაში, აქაურობას შეჩვეული ვარ, მაგრამ თუკი „ლოკომოტივმა“ დამაინტერესა, უარს რუსეთში წასვლაზეც არ ვიტყვი.

— არჩევანს როდის გააკეთებ?

ჰოლანდიაში ჩემპიონატი ჩათავებაზეა. იწურება გოგა გასოკიძის და „ტვენტეს“ ხელშეკრულების ვადაც. გუშინ ჩვენებურმა მესამედ უთხრა უარი ენსხედელებს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, რადგან საქმე ასარჩევად აქვს. გოგას სამი ჰოლანდიური კლუბი, „ჰერენვენი“, „როდა“ და „ბრედა“ აუამდეც იწვევდა, ახლა კი მსურველებს მოსკოვური „ლოკომოტივიც“ შეემატა.

ჩემმა მენეჯერმა მითხრა „ლოკოშოტივზე“. ვიცი, რალაც გერმანული ვარიანტიც არისო, გვითხრა გუშინ გახოკიძემ...

ჟირესი გახოკიძეს ამნისტიას ჰპირდება

გოგა: როდა, ბრედა, ჰერენვენი და ლოჯო

— 23 მაისის მერე. ახლა მხოლოდ თასის ფინალზე ვფიქრობ. 23-ში „ტვენტეს“ სათასო გუნდად ცნობილი „უტრეხტი“ ჰყავს დასამარცხებელი. მხოლოდ ფინალში მოგებით გავდივართ უეფას თასზე.

— ამის გამოა, ჩემპიონატს ნაკლებ ყურადღებას რომ უთმობთ?

— ჩემპიონატში მოტივაცია მართლაც დავკარგეთ, მაგრამ მთლიანობაში ჩვენი თამაშის ხარისხი ნორმალურია. ბოლო ტურშიც უნდა მოგვეგო, მაგრამ მეტოქემ მატჩის დამთავრებამდე 30 წამით ადრე გაგვითანაბრა. მე კი ერთი საგოლე პასი გავაკეთე, ორჯერ ძელსაც გავარტყი ბურთი.

— „ტვენტემ“ რომ უეფას თასის საგზური მოიპოვოს და პირობები გაგიუმჯობესოს, დარჩები ენსხედეში?

— რაც მაქვს, იმაზე მეტ პირობებს „ტვენტე“ ვერ შემიქმნის, რადგან აქაური საზომითაც კი მცირებიუჯეტიან კლუბად ითვლება.

— ბუნებრივია, ნაკრებში დაბრუნებაზეც ფიქრობ. ალენ ჟირესი თუ შეგეხმიანა?

— ჟირესი არა, მაგრამ მისი სახელით გია გურული დამიკავშირდა. მითხრა, შენი დიდი იმედი გვაქვსო.

— დისკვალიფიკაციის გამო კიდევ სამი სანაკრებო მატჩის გამოტოვება მოგიწევს...

— გურულმა ამაზეც ჩამომიგდო სიტყვა. მითხრა, შევეცდებით, უეფას სასჯელი შევამსუბუქებინოთ და ეგებ, დისკვალიფიკაცია მოგიხსნანო. თუ ასე მოხდება, ამას რა სჯობს. ნაკრებში დაბრუნება ჩემი უმთავრესი საზრუნავია. მინდა, ეროვნულ გუნდსაც გამოვადგე.

კაატა კვანტალიანი

მოიგე დრო!

ნაპრებს ფსიქოლოგი ჭირესი სჭირდება

მიხეილ ყაველაშვილის „აარაუს“ დღეს შვეიცარიის ჩემპიონატის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი აქვს — ყაველაშვილის გუნდი „ვილს“ მასპინძლობს და, თუ ვერ მოიგო, უძლიერესთა შორის მისი დარჩენა საეჭვო გახდება. არადა, „აარაუმ“ მეორე ეტაპის დაწყების წინ ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა და უეფას თასის საგზურის მოპოვებასთანაც ახლოს იყო. გაზაფხულიდან კი გუნდის საქმეები უკან-უკან წავიდა...

მიხეილ ყაველაშვილი გასავარდნ „აარაუს“ არას არ ეუბნება

— არავის ეგონა, პირველი ეტაპის მერე „აარაუს“ ასე თუ გაუჭირდებოდა, მაგრამ მწვრთნელისა და ფეხბურთელების შეცვლამ გუნდს კარგი შედეგი ვერ მოუტანა. ახლა ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, გადამწყვეტი მატჩი კი ხვალ აუტსაიდერ „ვილთან“ გველის — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა — თუ მოვიგეთ, მერე შესაძლოა მეოთხე-მეხუთეზეც აღმოვჩნდეთ, თუ ვერა, უმაღლესში დარჩენა გავიჭირდება.

— ბოლო დროს გოლები ძველი სიხშირით რატომ ვერ გაგაქვს?

— გუნდს ვეღარ გააქვს და შესაბამისად მეც მიჭირს. მწვრთნელი მარტინ რუედა, რომელიც „აარაუში“ ჩემთან ერთად, მეორე ეტაპის დასაწყისში მოვიდა, გამოუცდელია, უმაღლეს ლიგაში დებიუტი აქვს და, ცოტა არ იყოს, შიშობს, დაცვით ფეხბურთს გვათამაშებს და შეტევაზე არც ფიქრობს. მისთვის მთავარია, არ წავაგოთ. ბოლო მატჩებია, ერთი თავდამსხმელით ვთამაშობთ, მე ოდნავ უკან ვარ, დანარჩენი რვა ფეხბურთელი საქმეს დაცვაში აკეთებს. ასეთი ფეხბურთით კი გოლის გატანა წარმოუდგენლად ძნელია.

— და „აარაუს“ ხელმძღვანელობა რას ამბობს?

— მათ თავიანთი გასჭირვებიათ, სეზონის ბოლოს ერთბაშად 14 ფეხბურთელს უმთავრდება გუნდთან კონტრაქტი და ახლა საფიქრალში არიან. მომავალ სეზონიდან, ფაქტობრივად, ახალი გუნდის გაკეთება მოუწევთ.

— სეზონის ბოლოს კონტრაქტი შენც ხომ გიმთავრდება?

— კი, ასეა, მაგრამ, ალბათ, გავაგრძელებ. ყოველ შემთხვევაში, „აარაუმ“ ახალი კონტრაქტი უკვე შემომთავაზა, თუმც ხელმოწერას ჯერ არ ვჩქარობ და არც ისინი მაჩქარებენ.

— თბილისისკენ წამოსვლას არ აპირებ?

— არ ვიცი, როდის წამოვალ. 23 მაისს სეზონი მთავრდება და ალბათ თვის ბოლოსთვის ჩამოვალ.

— ესე იგი, ისრაელთან საქართველოს მატჩს ნახავ...

— თუ ჩამოვედი, რა თქმა უნდა, ვიქნები სტადიონზე.

— გერმანელ ახალგაზრდებთან ჩვენების მატჩს არ დასწრებიხარ?

— დასწრებით არა, ტელევიზორში ვნახე.

— მერედა, რას იტყვი ჟირესის დებიუტზე?

— ბევრსაც ვერაფერს. ფაქტი ერთია, ჟირესს გუნდის კეთება თავიდან მოუწევს და რაც დავინახე, ვფიქრობ, ასეც აკეთებს. მას ძალიან ბევრი სამუშაო აქვს და არა მარტო წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით. ფეხბურთელებს ჟირესი-ფსიქოლოგიც სჭირდებათ, რა თქმა უნდა, მწვრთნელ ჟირესთან ერთად. მწვრთნელიც ისაა, ვინც გუნდს იმას მისცემს, რაც სჭირდება.

— გერმანიაში საქართველოს ნაკრებს პერსპექტივისა რამე შენიშნე?

— პერსპექტივა გერმანიის ნაკრებში უფრო დავინახე. ამ გუნდის მატჩი შვეიცარიელ თანატოლებთანაც ვნახე. ძალიან ძლიერი, მობილური, განსწავლული თაობა ეზრდებათ გერმანელებს. მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ეს ბიჭები, ალბათ, ეროვნულ გუნდში ითამაშებენ და შესაძლოა, ამ თაობამ გერმანიას ძველი დიდება დაუბრუნოს. ჩვენს ნაკრებს კი გერმანიაში უძლიერესი შემადგენლობით არ უთამაშია და პერსპექტივაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია. ისე, ერთიცაა, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელს არასრულფასოვნების კომპლექსი არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, როცა შენი მეტოქე ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია. როცა ფეხბურთელის ფსიქოლოგია ვახსენე, ამასაც ვგულისხმობდი — ჟირესმა ნაკრებს წაგებულის მენტალიტეტი უნდა შეუცვალოს.

— როცა ნაკრები მოიგებს, ასეთი მენტალიტეტი თავისთავად შეიცვლება.

— კი, მაგრამ მატჩის დაწყებისთანავე თავს დაჩაგრულად არ უნდა გრძნობდე. შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორიც მეტოქეა. აგერ, მაგალითი: მილიარდების პატრონი „ჩელსი“ და „რეალი“ გაჭირვებულმა „პორტუმ“ და „მონაკომ“ დაიფრინეს. ეს ნიშნავს, რომ ფეხბურთი სამართლიანი თამაშია და თუ თამაში შეგიძლია, მოინდომებ, არაფერი დაგეკარგება. ახლა საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელი აუცილებელზე აუცილებელი იყო, მით უფრო კარგია, რომ ეს მწვრთნელი ფრანგია, რომელსაც გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. ყველა ხედავს, ფრანგულ ფეხბურთს ბოლო დროს რამხელა წარმატებები აქვს.

— ფრანგულამდე ჯერ ადრეა, მაგრამ, როგორ ფიქრობ, ჩვენს წილ წარმატებას საქართველო როდის მიაღწევს?

— რისი დანგრევა-განადგურებაც შეიძლებოდა, ქართულ ფეხბურთში ყველაფერი დაინგრა და განადგურდა, მიწასთან გასწორდა, მიწაში კი ვეღარ ჩავიდოდა. ახლა შენების დრო დადგა და ძნელია თქვა, სამ, ოთხ თუ ხუთ წელიწადში რას მივაღწევთ. მთავარია, სწორი გზა ვნახოთ, რომელიც შედეგს დღეს და ხვალ თუ არა, მომავალში აუცილებლად მოგვცემს. ის, რაც საბჭოთა კავშირიდან, ასე თუ ისე აწყობილი სისტემიდან გადმოგვყვა, ახლა მოშლილია და ახალი გზებია მოსაძებნი. მგონია, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც კავშირის დაშლის შემდეგ უცხოეთში თამაშობდნენ და მალე, ალბათ, ფეხბურთელის კარიერასაც დაამთავრებენ, აუცილებლად ფეხბურთში უნდა დარჩნენ. მათი ევროპული გამოცდილება წაადგება ჩვენს ფეხბურთს.

— შენ ხომ აპირებ ფეხბურთში დარჩენას?

— კი, ვაპირებ, ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი მაქვს.

ძოგა ინასარიძე

მოჰამედ არფრისმეტყველი
ბაჯოს დარი საც არის...

რობერტო ბაჯომ იტალია კიდევ ერთხელ გააოცა

სერია A-ს ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. ასე რომ, დღეს იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის ბოლოსწინა მიმოხილვაა ამ სეზონში. ვინ მიიჩნია ანტონიონიმ 33-ე ტურის გმირებად და ანტიგმირებად?

რობერტო ბაჯო (ბრეშა) — თვით ალესანდრო დელ პიეროსაც უჭირს ისეთი გოლების გატანა, როგორიც კვირას რობერტო ბაჯომ გაიტანა. შესაძლოა, ის მომავალ კვირას ფეხბურთიდან წავიდეს, მაგრამ ჯადოსნური ლეგენდა ჯერ მოედანზე რჩება. ბაჯო ძალიან დააკლდება ფეხბურთს.

ალბერტო ჯილარდინო (პარმა) — მას კვირას „ინტერისთვის" გოლი არ გაუტანია, მაგრამ ისე ითამაშა, რომ გამოჩნდა, ამ ბიჭს ბურთის გორება ნამდვილად ეხერხება. ბენიტო კარბონეს ჯილარდინომ დიდებული საგოლე ასისტენტობა გაუწია. მას დიდი მომავალი ელის.

კრისტიან ვიერი (ინტერი) — „პარმასთან" დიდებულად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ სანაქებო მოწადინება გამოამჟღავნა. ვიერიმ რაც შეეძლო გააკეთა, რათა გოლი გაეტანა. სამწუხაროა, რომ თანაგუნდელებმა ასისტენტობა კვლავ ვერ გაუწიეს.

მოჰამედ კალონი (ინტერი) — „ინტერს" სეზონში ყველაზე პრინციპული მატჩი ჰქონდა და ამ მატჩში სრულიად მოულოდნელად ათამაშეს მოჰამედ კალონი, რომელსაც კაპიკის საღირალი არაფერი გაუკეთებია. კალონი აქამდე დოპინგის გამო ექვსთვიან დისკვალიფიკაციას იხდიდა, მაგრამ მაინც ათამაშეს, ადრიანო კი რატომღაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა. რატომ?

პაოლო დე ლუკა (სიენას პრეზიდენტი) — როგორც კი „სიენამ" გაინაღდა სერია A-ში დარჩენა, დე ლუკა გამოვარდა და „რეჯინასა" და „პერუჯასთან" წაგებისთვის „მილანი" და „რომა" გამოლანძღა.

ალვარო რეკობა (ინტერი) — სულ რვა წუთით ათამაშეს „პარმასთან" და თავისი დამოკიდებულებით ანტიგმირობა მაინც მოასწრო. ამბობენ, არც უნდოდა ამ შეხვედრაში მონაწილეობაო.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰამედ კალონი

იტალიის ანტიმაფიური პოლიცია თორმეტ საფეხბურთო კლუბს შეამოწმებს. ეჭვია, რომ ეს კლუბები ტოტალიზატორებისა და ორგანიზებული დანაშაულის დამაკავშირებულ რგოლს წარმოადგენენ — აი, სიახლე, რომელმაც ევროპის ხსენებულ ქვეყანას გუშინ დილით გადაურბინა.

მაფია და 12 გამყიდველი
იტალიურმა პოლიციამ გარიგებული თამაშების გამოძიება დაიწყო



ნეაპოლში ფუძედადებულმა ანტიმაფიურმა პოლიციამ დილით „სიენას" ოფისით დაიწყო და კიდევ თერთმეტი კლუბის შტაბ-ბინას მიაკითხავს. დაზაფრულმა ტოსკანიელებმა გუშინ იმის განცხადება მოახერხეს, რომ თავად მხოლოდ და მხოლოდ სიტუაციის მსხვერპლნი არიან.



ჯენეროსო როსი გამოძიებას ეხმარება

„ჩვენ უკიდურეს სიმშვიდეს ვინარჩუნებთ — განაცხადა „სიენას" გენერალურმა დირექტორმა ვალტერ სკაპილიატიმ — მშვიდად კი იმიტომ ვართ, რომ ამ ისტორიაში მხოლოდ მსხვერპლი ვართ და მეტი არაფერი".

გარდა ამისა, კლუბმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომლიდანაც ნათლად გამოჩნდა თუ რას და რა მიმართულებით ეძებს პოლიცია:

„პოლიციამ დაიწყო გამოძიება, რომელიც სანაძლეოებსა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან არის კავშირში. ამ საქმეში, შესაძლოა, ჩათრეული იყოს გარკვეული რაოდენობის ფეხბურთელი. დასახელებულია თორმეტი იტალიური კლუბი".

თორმეტი კლუბიდან სერია A-ში „სიენას" გარდა სამია: „კიევო", „ლეჩე" და „რეჯინა", დაასახელეს სერია B-ს და სერია C-ს კლუბებიც: „პიაჩენცა", „ასკოლი", „ლუმეცანე", „სასარი ტორესი", „ტარანტო", „კატანძარო", „კროტონე" და „ფერმანა".

ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული, მიმდინარე სეზონის რამდენიმე თამაშის შედეგი ზოგი ფეხბურთელის განზრახ ჩარევის გამო მთლად ბუნებრივი არ იყოს. საუბარია საეჭვო საინტერნეტო ნიძლავებზე.

რამდენადაც ცნობილი გახდა, „სიენას" მოთამაშეები რობერტო დავერსა, ჯენეროზო როსი და ნიკოლა ვენტოლა გამოძიებას ეხმარებიან. ცნობისთვის: ჯენეროსო როსი „სიენადან" ახალი წასულია. იმავეს აკეთებენ „გროსეტოს" მოთამაშე სალვატორე ამბროსინო და „იუვე სტაბიას" ყოფილი წევრი ვინჩენცო ონორატო, მათ გარდა კიდევ რვა ადამიანი უდგას სამართალდამცველებს მხარში.

ბუნებრივია, ჯერეჯრობით არავის მიმართ არანაირი ბრალდება წამოყენებული არ არის.

„ლეჩეს" პრეზიდენტი კირიკო სემერარო: „პოლიციამ საბუთები ჩვენც გვთხოვა და ჩვენც ყველაფერი წარვუდგინეთ. ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ გვაქვს".

„რეჯინას" შეფი ლილო ფოტი: „რაც უნდათ ის შეამოწმონ, ჩვენ მშვიდათ ვართ".

პაპუნა კედია

მილანი სინიორის ჩინეთს ანახებს

ბობოლა კლუბთა აზიურ ტურნეები კარგა ხანია, ჩვეულებრივ ამბად და ამ კლუბთათვის იქაური უშველებელი ბაზრის ათვისების საშუალებად იქცა.

27 მაისს იტალიის ჩემპიონი „მილანი" ჩინეთში მიემგზავრება და ორ ამხანაგურ, უფრო სწორად, საჩვენებელ მატჩს ჩაატარებს. მილანელები სამშობლოში 4 ივნისს დაბრუნდებიან.

საინტერესოა ის გარემოება, რომ კარლო ანჩელოტის საჩინეთო გუნდის ლამის ნახევარი არამილანელები იქნებიან, რომელთაგან უპირველესად ბოლონიელი ვეტერანი ჯუზეპე სინიორი უნდა გამოვარჩიოთ.

სინიორის გარდა „მილანს" ჩინეთში წაყვებიან ასევე ბოლონიელი სამუელე დალა ბონა, სამპდორიელები მასიმო დონატი, აიმო დიანა, ლუკა ანტონინი და მორის კაროციერი, ლეჩელი კრისტიან ლედესმა და ბრეშელი დარიო დაინელი.

ტურნეს დასრულების მერე, როცა ფეხბურთელები იტალიაში დაბრუნდებიან, შესაძლოა, ერთით ნაკლებნი იყვნენ, რაკი ჯუზეპე სინიორი ყატარისკენ აპირებს გადახვევას. ყატარის გაკვალულ ბილიკებს, მოგეხსენებათ, უკვე უამრავი ბევრი დიდვარსკვლავი დაადგა. სინიორი წინა უქმეებზე გამოემშვიდობა ბოლონიელ გულშემატკივარს, როცა მისმა გუნდმა საამსეზონო სერია A-ში ბოლო საშინაო თამაში ჩაატარა.

„პროფესიული ფეხბურთის თამაში 16 წლისამ დავიწყე და ამ საქმეს 20 წელია ვემსახურები — თქვა სინიორიმ — ალბათ, ყატარში წავალ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია."

ირაკლი ნინიძე

ჯუზეპე სინიორი „ბოლონიას" ატირებული დაშორდა

უტვინოები

ვალდანომ დამნაშავე ჯერ არ გათქვა

ამ სეზონში „რეალს“ ხელში მხოლოდ ესპანეთის სუპერთასი შერჩა, რაც დაგვეთანხმებით, მისი შესაძლებლობების გუნდისთვის ძალიან ცოტაა და მართალია, წინ ჯერ კიდევ პრიმერადივიზიონის ორი ტურია, განვლილის შეფასება უკვე შეიძლება. ამიტომაც მოუხდა „სამეფო კლუბის“ მორიგი მარცხის შემდეგ მის სპორტულ დირექტორს, ხორხე ვალდანოს კითხვებზე პასუხის გაცემა

— ახლახან თქვა ფლორენტინო პერესმა, ალბათ, სამივე ტიტულს არ უნდა წავპოტინებოდითო.

— ფაქტია, რომ „რეალი“ დამარცხებისთვის არც ერთ შეჯირებაში არ ითამაშებს. სხვა საქმეა, რომ სამივეში გასამარჯვებლად უფრო მეტი ფეხბურთელი იყო საჭირო.

— მილიტო, მუნიტისი, მორიენტესი, ეტოო... ფეხბურთელების გაყიდვა-გაქირავებაში შეცდომები ხომ არ მოგსვლიათ?

— არა, დაე, ესპანეთში ათი ეტოო თამაშობდეს. დღეს ეტოო სხვა ფეხბურთელია, ვიდრე დაგვხვდა, მაგრამ მოდით, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თუ დაგვჭირდება, სხვებთან შედარებით უპირატესობით ვისარგებლებთ. გარდა ამისა, გოლების გატანის შემდეგ მისი ჟესტები ზოგად პატივისცემას გამოხატავდა და ჩვენ ეს „რეალთან“ დაახლოების ნაბიჯად მივიჩნიეთ. რაც შეეხება გაქირავებას, ჩვენ ეს პოლიტიკა ძალიან გვადგება და ასე იქნება მომავალშიც. ისე კი, თქვენს მიერ ჩამოთვლილთაგან გაქირავებული მხოლოდ მორიენტესია, დანარჩენები გავყიდეთ.

— ქომაგთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ თქვენ ცენტრალური მცველი უნდა გეყიდათ და მაშინ ჩავარდნაც არ მოგვიდოდათ.

— ვცადეთ მილიტოსა და აიალას ყიდვა, მაგრამ ვერ შევძელით და, შესაძლოა, ამან მართლაც იმოქმედა. ახლა რაღაცეების შეცვლის ახალი ვარიანტი გვეძლევა. ბოლო ორ თვეში პრობლემებმა ძალიან აშკარად წამოჰყო თავი. ახლა უნდა მოვაგვაროთ ყველაფერი.

— ხომ არ შეცდა მწვრთნელი, კარლუშ კეირუში ძირითადად თორმეტ მოთამაშეს რომ დაეყრდნო?

— მწვრთნელს თავის კრიტერიუმები აქვს. ვიმეორებ, ჩვენ ყველაფერს სეზონის დამთავრების შემდეგ გავაანალიზებთ, ახლა კი მინდა ფეხბურთელებმა ბოლო ორი თამაშისთვის მოიკრიბონ ძალ-ღონე. „მურსიასა“ და „სოსიედადის“ წინააღმდეგ ჩვენი ღირსება უნდა დავიცვათ. ძალიან მნიშვნელოვანია ქომაგებთან ღირსეული დამშვიდობება და მეორე ადგილზე გასვლა. ამით ჩვენ მომავალი სეზონის საფუძველს ჩავყრით.

— როდესაც გუნდი საწვრთნელ ცენტრში ჩაკეტეთ, „ატლეტიკოს“ მოუგეთ, მერე კი ფეხბურთელები ისევ შინ გაუშვით და მას მერე მხოლოდ მარცხდებით...

— ეს არგუმენტი მთლად სწორი არ არის. „ბარსელონასთან“ როგორც ტექნიკურად, ასევე ფიზიკურად ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით, ვიდრე „ატლეტიკოსთან“. იგივე შემიძლია ვთქვა „დეპორტივოსთან“ შეხვედრაზეც. ჩვენ ფიგუს და ზიდანის გაქცევამ გაგვიკეთა ძალიან ცუდი საქმე.

— და მაინც, ბევრი თამაშების წინ შეხვედრების მომხრეა.

— შეკრება და კარანტინი გუნდის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად არის საჭირო და არა იმისთვის, რომ ფეხბურთელები უბრალოდ სასტუმროში გამოკეტო. ამ სეზონში უკარანტინოდაც კარგად მივდიოდით. ვფიქრობ, მაგაში არ უნდა იყოს საქმე.

— ბევრი აღაშფოთა იმ დამატებითმა დასვენების დღემ, რომელიც კლუბმა ფეხბურთელებს „მალიორკასთან“ წაგების შემდეგ გამოუყო.

— გასაგებია, რომ ასეთ დროს ხალხი სიმკაცრეს უფრო ითხოვს, მაგრამ ხშირად დასვენება საუკეთესო ვარჯიშია. მოთამაშეებს ისედაც დიდი ზეწოლის გაძლება უწევთ და მათი ფეხბურთიდან 48 საათით მოწყვეტა ძალიან სასარგებლო უნდა იყოს, თუმც ქომაგებს შეიძლება ეს მართლა არ მოეწონოთ.

— კარლუშ კეირუში მწვრთნელად რომ მოიყვანეთ, შეცდით?

— ახლა ჩვენ ნიჭიერ პროფესიონალსა და განსაკუთრებულ ადამიანზე ჩამოვაგდეთ სიტყვა. დანარჩენს სეზონის დასრულების შემდეგ მოვიფიქრებთ.

— ხშირად, როდესაც კლუბის ხელმძღვანელთა კრიტიკა უნდათ, კონკრეტულად თქვენ გაკრიტიკებენ. როგორ ფიქრობთ, თქვენი მისამართით კრიტიკა სამართლიანია?

— კრიტიკას სრული პასუხისმგებლობით ვიღებ. პრობლემების აღმოსაფხვრელად უკვე ვმუშაობთ.

— იქნებ რაიმეთი გაამხნევოთ განაწყენებული ქომაგები?

— მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იმედს რაც შეიძლება მალე დავუბრუნებთ.

— მზად ხართ, მეორე ადგილისთვის „ბარსელონასთან“ საბრძოლველად?

— მთელი ღირსებით შევეცდებით მეორე ადგილის მოპოვებას. „ბარსელონას“ ბრწყინვალე პერიოდი უდგას, მაგრამ ქულით ჩამოგვრჩება. თან, „ბარსელონას“ ხუთი წელიწადია, არაფერი მოუგია, ჩვენ კი პირველად ვერ ვიგებთ ვერაფერს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ „რეალის“ ჩავარდნა უფრო დიდი მოვლენაა. ისე კი, „ბარსამ“ მეორე წრეში ისევე დიდებულად ითამაშა, როგორც ჩვენ პირველში.

— ფლორენტინო პერესი როგორ არის?

— გამარჯვებისთვის ყველანი მზად ვართ, დამარცხებისთვის კი... ფლორენტინო პერესი ძლიერი ადამიანია და ძნელ წუთებში საღ გონებასა და სიმშვიდეს ინარჩუნებს.

კარლუშ კეირუშის მომავალზე ლაპარაკს ხორხე ვალდანო თავს არიდებს

„რეალს“ სამუელ ეტოოზე თვალი ჯერ კიდევ უჭირავს

კამაჩოს გული რეალს ეკუთვნის

პერესი ბენფიკას მწვრთნელს ართმევს

ჩემპიონობის, სამეფო თასისა და ჩემპიონთა თასის გარეშე დარჩენილ მადრიდის „რეალის“ განრისხებულ თავკაცობას, ესპანური მედიის მტკიცებით, კარლუშ კეირუშთან დამშვიდობება გადაუწყვეიტია

„მარკამ“ კამაჩო და ბუტრაგენიო ერთმანეთს შეახვედრა

მადრიდული „ასის“ ცნობით, 23 მაისს, პრემერადივიზიონის ბოლო ტურის შემდეგ, „რეალის“ სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო კეირუშს ოფიციალურად გაესაუბრება, რათა პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის სურვილისამებრ, პორტუგალიელს „ბერნაბეუს“ გასასვლელისკენ თავაზიანად მიუთითოს.

კეირუშის თანამდებობას, სავარაუდოდ, ძველი რეალელი და ლისაბონის „ბენფიკას“ ამჟამინდელი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო დაიკავებს. იგი ახლა მადრიდშია, თავის მშობლიურ ქალაქში, პორტუგალიის თასის ფინალის წინ ისვენებს — კვირას მის „ბენფიკას“ ჟოზე მაურინიუს „პორტუსთან“ უწევს ჭიდილი.

მონატრებული კასტილიური ხედებით დამტკბარმა კამაჩომ მადრიდულ „მარკას“ ეს განუცხადა: „ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ეს საქმე მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. კლუბის წარმომადგენლებს უნდა შევხვდე, იქ მოვილაპარაკებთ და მერე გაირკვევა, „რეალის“ მწვრთნელი გავხდები თუ არა... პირადად ჩემთვის დიდი პატივია, სამეფო გუნდს კამაჩოს კანდიდატურა რომ აინტერესებს“.

პერესს სხვებიც შეუგულებია: ბეტისელი ვიქტორ ფერნანდესი, დეპორტივოელი ხავიერ ირურეტა და არსენალელი არსენ ვენგერი.

კასტილიელთა ელიტური საფეხბურთო ფრთა და იქაური სპორტული მედია უფრო კამაჩოსკენ იხრებიან. მადრიდული რადიოს „კადენა სერის“ გამოკითხვით, იქაურ ინჩასთა 49 პროცენტი სამეფო კლუბის თავკაცად კამაჩოს ითხოვს. 19-ს ხავიერ ირურეტა უნდა, 14 პროცენტი ვიქტორ ფერნანდესს ერგო, ხოლო 18 სხვა დანარჩენ მწვრთნელებს, რომელთაც პერესი სერიოზულად არც განიხილავს.

მადრიდულ ზრახვათა შესახებ ლისაბონშიც კარგად იციან და ხვდებიან, რომ მიუხედავად „ბენფიკასადმი“ ერთგულებისა, ხოსე ანტონიო კამაჩოს გული „სანტიაგო ბერნაბეუსკენ“ მიუწევს.

„მან „ბენფიკას“ დიდი წარმატებები მოუტანა და თუ მაინც დაგვტოვებს, ეს ოდენ მადრიდის „რეალის“ გამო მოხდება. იგი დიდი მწვრთნელია და ამასთანავე გულისხმიერი ადამიანი, ჩვენი კლუბის გულშემატკივრებთან განსაკუთრებული, თბილი ურთიერთობა აკავშირებს. დასანანი იქნება თუ ხოსეს დავცილდებით, თუმცა ყველამ იცის, რომ მისი გულის გუნდს მადრიდის „რეალი“ ჰქვია“ — განაცხადა „ბენფიკას“ პრეზიდენტმა ფილიპე ვიეირამ გუშინ „ა ბოლასთან“ ინტერვიუში.

ლადო ხომერიკი



ოტმარ ჰიცფელდი

რუმენიგემ ჰიცფელდი შეიფარა

ბაიერნის პრეზიდენტი ტრაგედიას უარყოფს

ორი კვირის წინ ოტმარ ჰიცფელდმა კლუბთან კონტრაქტი 2005 წლის ივნისამდე გააგრძელა. „ვერდერთან“ მარცხმა კი გერმანიაში ჭორები ააგორა, ჰიცფელდს მაინც გაათავისუფლებენო. მისმა გუნდმა ხომ სეზონი ჩააგდო, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდა, ხოლო ბუნდესლიგა ბრემენის „ვერდერს“ დაუთმო.

კლუბის პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ „ბაიერნის“ მწვრთნელის დაცვა იკისრა. ერთ-ერთ მიუნხენურ ჟურნალთან ინტერვიუში მან განაცხადა: „ჩვენ ვსაუბრობთ კაცზე, რომელიც დიდ პატივისცემას იმსახურებს. უსამართლობაა, რომ მარცხი ერთ ადამიანს დავაბრალოთ. ამ სეზონში ვერაფერი მოვიგეთ და, ცხადია, უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ეს ტრაგედია არაა“.

რუმენიგე ზაფხულში ახალი ფეხბურთელელების შეძენაზეც ლაპარაკობს: „ევროპაში წარმატებისთვის მაღალი კლასის მოთამაშეები გვჭირდება. „ბაიერნს“ „მანჩესტერივით“, „ჩელსივით“ და „ინტერივით“ ბევრი ფული არა აქვს, მაგრამ თუ საჭირო იქნება, კარგი ფეხბურთელისთვის თანხებს აუციებლად გამოვნახავთ“.

მიუნხენელებმა უკვე დაიბეგეს „ბოხუმის“ ფორვარდი ვაჰიდ ჰაშემიანი. ამჟამად პსვ-ს ნახევარმცველ მარკ ვან ბომელის გადაბირებას ცდილობენ. ჰოლანდიელის წაყვანა „შალკეს“, „ასტონ ვილასა“ და „ტოტენჰემსაც“ სურთ.

იმავდროულად „ბაიერნი“ დორტმუნდის „ბორუსიას“ ტორსტენ ფრინგსზე ევაჭრება, რომელსაც „ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შაუმა ბრემენში გადასვლა შესთავაზა.

ვაჟა ხუციშვილი

ბუნდესბაზარი გაიხსნა

ფარმაცევტები უკანონოდ ვაჭრობენ

მიროსლავ კლოზე რომ მომავალ სეზონს „ვერდერში“ დაიწყებს, ცნობილია. „კაიზერსლაუტერნის“ ფორვარდთან ბრემენელებმა გასულ ზამთარში წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს.

„კაიზერმა“ კლოზეს ნაცვლად შესაძლოა, კარსტენ იანკერი დაიმატოს. 29 წლის თავდამსხმელმა „უდინეზეში“ ორი წელი გაატარა, მაგრამ ძირითად შემადგენლობას ვერ გაუშინაურდა. ქაჩალმა გერმანელმა სერია A-ში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. იანკერი „კაიზერსლაუტერნში“ სამი წლით იმ შემთხვევაში გადავა, თუ კლუბი ბუნდესლიგაში დარჩება.

„წითლებმა“ უკვე მოასწრეს ორი ფეხბურთელის გადაბირება. გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი ფერიდონ ზანდი და ზაგრების „დინამოს“ მიხაელ მიკიჩი გუნდს ზაფხულში შეუერთდებიან.

ფერიდონ ზანდი მეორებუნდესლიგის „ლიუბეკში“ თამაშობს და ამ სეზონში 13 გოლი გაუტანია.

„კაიზერსლაუტერნს“ 30 წლის ჩეხი ფორვარდი ვრატისლავ ლოკვენიც ტოვებს. იგი „ბოხუმში“ გადავა და სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ლოკვენცი ვაჰიდ ჰაშემიანის შემცვლელად სურთ, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ გადაბარგდება.

„ბოხუმის“ მწვრთნელ პეტერ ნოირურერს გუნდიდან ნაკრების წევრის, პოლ ფრაიერის გაშვება არ უნდა, მაგრამ ფეხბურთელს თურმე მალულად ლევერკუზენის „ბაიერის“ აგენტები თაფლავენ.

თავად ფრაიერსაც თვალი კარისკენ უჭირავს, მწვრთნელი კი გაბრაზებულა და ასე უთქვამს: „არ გავუშვებ. მომავალ სეზონში სათადარიგოთა სკამს ვახეხინებ და მერე ვნახოთ, კიდევ ექნება თუ არა „ბაიერს“ თადარიგის ფეხბურთელის წაყვანის სურვილი. ლევერკუზენელები ბინძურ ხერხებში ადრეც ვამხილე და იგივეს აგრძელებენ. ფრაიერს მხოლოდ 10 მილიონი ევროს სანაცვლოდ შევეწევი. სულ არ მადარდებს, რომ „ბაიერი“ ამდენის გადამხდელი არაა“.

ვაჟა ხუციშვილი

ვრატისლავ ლოკვენცი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით



ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49



კეიტ გილესპის, ფრენ სინკლერის და პოლ დიკოვის ალიბი რუთ ლოურენსოსა და მისი დაქალების მეძავეობაა

შიშველი სიმართლე

მსაჯულნო, აი, ნახეთ, ველური მეძავები არიან

ნება გვიბოძეთ, შეგახსენოთ: თებერვალში, ინგლისური გუნდი „ლესტერ სიტი“ ერთკვირიან შეკრებას ატარებდა ესპანეთში, მაგრამ იძულებული შეიქნა გეგმა შეეცვალა და სამშობლოში დაბრუნებულიყო. მიზეზი: „ლესტერ სიტის“ ფეხბურთელები სკანდალში გაეხვნენ — სამმა აფრიკული წარმოშობის, გერმანიაში მცხოვრებმა ქალმა პოლიციაში იჩივლა, გაგვაუპატიურესო. თავიდან ისტორიაში თითქმის მთელი გუნდი იყო ჩართული, ხოლო შემდეგ წრე შევიწროვდა და ბრალდება სამს, კეიტ გილესპის, ფრენკ სინკლერს და პოლ დიკოვს წარუდგა. ამ ტრიომ გაატარა კიდეც ერთი, მეტად უსიამოვნო კვირა ესპანეთის ერთ-ერთ საპყრობილეში. თუმცა შემდეგ გაუშვეს, ოღონდ არა სამუდამოდ — სასამართლო, რომელმაც ისინი შეიძლება გაამართლოს, მაგრამ შეიძლება მთელი 12 წელიწადიც მიუსაჯოს, ჯერ კიდევ გასამართია.

ესაა მოკლედ ის, რასაც „სარბიელი“ ორიოდ თვის წინ საკმაოდ დეტალურად აშუქებდა, დღეს კიკიდევ ერთ, საინტერესო ამბავს გიამბობთ. უფრო სწორად, ვფიქრობთ, აქ იმდენად ამბავი არ არის საინტერესო, რამდენადაც ის, თუ როგორ (ვგულისხმობთ, როგორც ხარისხს, ასევე მეთოდებს) მუშაობს ინგლისური ყვითელი პრესა, კერძოდ კი საკვირაო გაზეთი NEWS OF THE WORLD. კერძოდ:

ზემოთ სამი აფრიკული წარმოშობის, გერმანიაში მცხოვრები ქალი ვახსენეთ: მალელი, 36 წლის რუთ ლოურენსო; კენიელი, 31 წლის ბეატრის ვანჟირო და ასევე კენიელი, 37 წლის მარტა გილბერტი. ისინი, როგორც მოგახსენეთ, გაუპატიურებაში სდებენ ფეხბურთელებს ბრალს და კატეგორიულად უარყოფენ, რომ თავად მეძავები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ყვითელ ინგლისურ პრესაში მაშინვე გამოჩნდა ამ ქალბატონების მამხილებელი წერილები, კონკრეტული მტკიცება არაფრისა ყოფილა, ხოლო ვიღაცეების მონაყოლს ფაქტის ეფექტი არ ჰქონია. სხვა საქმეა, რომ არც ერთ ჩვენგანს იმთავითვე ეჭვიც არ შეპარვია ქალების მეძავობაში.

და აი, ზემოხსენებულმა ინგლისურმა საკვირაო გაზეთმა ხრიკს მიმართა: მან დაიქირავა ცრუ შეიხი მაზეჰ მაჰმუდი და მის თანმხლებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც კიოლნში გაგზავნა და სასტუმრო „ჰილტონში“ მოათავსა — აქ „ჰილტონის“ ხსენება ნუ შეგაცბუნებთ, მეძავი შეიძლება ძვირიც იყოს. ერთი სიტყვით, ცრუ შეიხმა ხსენებული სასტუმროს რესტორანში იოლად გაიცნო ქალბატონი ბეატრის ვანჟირო, რომელმაც თავი და რუთ ლორენსო მოდელებად წარუდგინა. ცრუ შეიხმა დაიბრალა, რომ დუბაიდან არის და, შესაბამისად, ქალებს ეჭვი გაუჩინა, რომ ბევრი ფული აქვს.

ამის შემდეგ ბეატრისი და რუთი ძირითადად, თურმე, იმის გამოკვლევას ცდილობდნენ, შეძლებდა თუ ვერა შეიხი, რომ ისინი გვარიანად დაესაჩუქრებინა. კერძოდ, დაიწყეს დუბაის დაოჯალიერების სურვილი, რა [illegible] ბარიზში გაყოლით დაამთავრეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, [illegible] ქალებს [illegible] მესამე მეგობრის ხსენება და შეთავაზება დავიწყებიათ, უთქვამთ, რომ ის ძალიან ლამაზია, მეტიც, მათ მესამე მეგობრის იმწუთას გამოძახებაც მონდომებიათ, თუმცა ცრუ შეიხს ნამგზავრობის და დაღლის მიზეზით ეს საქმე მეორე დღისთვის გადაუდია.

ახლა კონკრეტულად, რაზე შეუთანხმდა ცრუ შეიხი ქალებს: ცხადია, მეძავურ მომსახურეობაზე ფართო ასორტიმენტით და... მის გასართობად ერთმანეთში საჩვენებელი ლესბოსური სექსის გამართვაზე. უფრო სწორად, ეს რუთ ლოურენსოს ცრუ შეიხისთვის თავად შეუთავაზებია. ერთი სიტყვით, საუბარი იყო შაბათ-კვირის ფართომასშტაბიან პროგრამაზე, რაშიც დუბაელ მილიონერს ერთ მეძავზე ხუთი ათას ევროს ართმევდნენ.

NEWS OF THE WORLD-ის ცრუ ბრიგადას, ბუნებრივია, მალული ვიდეოაპარატურაც თან ჰქონდა და როგორც ამ გაზეთის ბოლო ნომერში წერია, მთელი მოპოვებული მასალა ესპანეთის სასამართლოს გადაეცემა. ფირზე აღბეჭდილი ყოფილა რუთ ლოურენსოს ნათქვამიც: მე მიყვარს სექსი, მეძავი ვარ, ლოგინში ველური რამეების კეთება მეხერხება.

პაპუნა კედია

„ლიდსი“ გავარდა, მისი საუკეთესო ფეხბურთელი ალან სმიტი კი გუნდს დაბალ ლიგაში არ გადაჰყვება და ლაპარაკებიც ამტყდარა, ერთგული ლიდსელი „ვალენსიაში“ ან „ინტერში“ ამოჰყოფს თავსო. თუმცა, გუშინდელი ცნობებით, სმიტს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ნდომებია და მათთან სალაპარაკოდაც მზად ყოფილა.

ვერონი ორ მილიონად

სმიტი მანჩესტერისკენ იხედება, ოუენი ლივერპულში რჩება



ალან სმიტი



ხუან სებასტიან ვერონი

„ამბობენ, რომ „ლიდსი“ და „მანჩესტერი“ დიდი მეტოქეები არიან. თუმცა, ამგვარი მეტოქეობა სხვადასხვა ლიგაში არ გამოვა — თქვა სმიტმა — 32 წლის რომ ვიყო, „ლიდსიდან“ არ წავიდოდი. „მანჩესტერი“ მძლავრი კლუბია, ასევეა „ვალენსიაც“ და „იუვენტუსიც“, მაგრამ მაინც „მანჩესტერი“ მირჩევნია“.

სერ ალექს ფერგიუსონი სმიტის დიდი პატივისმცემელია და ეს ლაპარაკიც აქედან გაჩნდა. რა მოხდება, მალე შევიტყობთ. „მანჩესტერი“ ახალი გუნდის მშენებლობას იწყებს და ეგებ „ოლდ ტრეფორდზე“ ბევრი ახალი სახეც გამოჩნდეს.

მაგალითად, „დეპორტივოს“ მაღალრეიტინგიანი მცველი ჟორჟე ანდრადე, პორტუგალიელი, რომელსაც რამდენიმე დიდ გუნდში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. ანდრადე მიანიშნებს, რომ „მანჩესტერი“ ურჩევნია, თუმცა „დეპორთან“ კონტრაქტი აკავშირებს და ყველაფერი ორთა შეთანხმების საქმეა.

ამ კვირაში გავრცელდა ხმები, რომ სერ ალექსს ჩელსელი დემიენ დაფისთვის დაუდგამს თვალი, თუმცა, ირლანდიელის აგენტი აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ჭორია.

„ჩელსიდან“ წამსვლელი ჩანს ხუან სებასტიან ვერონი, რომელიც უარყოფს, რომ მენეჯერ კლაუდიო რანიერისთან რაიმე უთანხმოება ჰქონდა. ისევე როგორც „მანჩესტერში“, არგენტინელი „ჩელსიშიც“ ვერ დამკვიდრდა, არადა, კონტრაქტით სამი წელი დარჩა „ჩელსიში“, სადაც 16 მილიონ გირვანქად გადავიდა „მანჩესტერიდან“, რომელმაც თავის მხრივ 28 მილიონად შეიძინა „ლაციოსგან“. ვერონმა ამ სეზონში სულ ხუთჯერ ითამაშა სასტარტოში, ზურგის ტრავმის გამო კი ეგრეც ვერ შევიდა ფორმაში. მისი და რანიერის ურთიერთობათა გაფუჭებას ბოლოდროინდელ ამბებს უკავშირებენ, როცა „მონაკოსთან“ პირველ მატჩში ვერონმა რანიერის სთხოვა მოედანზე არ შემიშვაო. მოკლედ, რომან აბრამოვიჩი თანახმაა, რომ მსურველს მხოლოდ ორ მილიონად დაუთმოს 29 წლის არგენტინელი.

ასეთ გუნდად მილანის „ინტერი“ მიიჩნევა, რომელსაც მანამდე ფრენკ ლამპარდი უნდოდა. ამასობაში კი, მაიკლ ოუენმა განაცხადა, რომ გაის ამ დროს უმთავრდება კონტრაქტი „ლივერპულთან“ და წასვლას არ აპირებს, ანუ ერთ სეზონსაც ამ გუნდში გაატარებს, ახალი კონტრაქტის ბედი კი გზადაგზა გაირკვევა. გუშინვე ოუენმა 15-მილიონგირვანქიანი სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა „უმბროსთან“.

ვაჭრობის სეზონი კი ახლოვდება.

ირაკლი გამყრელიძე

აბიატიმ სიტყვა გაცვალა

„მილანის“ მეკარე კრისტიან აბიატი შესაძლოა, ლონდონის „არსენალში“ აღმოჩნდეს. ამის ალბათობა თავად აბიატიმ დაადასტურა.

„მე სიტყვის კაცი ვარ — თქვა აბიატიმ — ადრე ვთქვი, რომ „მილანში“ კონტრაქტის დასრულებამდე, 2008 წლამდე დავრჩები-მეთქი და პირობის დარღვევა არ მსურს, მაგრამ ბოლო დროს ვითარება შეიცვალა და მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ისევ სხვაგან თამაში მირჩევნია.“

აბიატის და „არსენალის“ ურთიერთსიმპათიაზე წინა ზაფხულშიც იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ გარიგება არ მოხერხდა. ახლა მეკარემ დაადასტურა, ლონდონელები უკვე შეეხმიანენ ჩემს აგენტსო.

„ჩემთვის ახალი კლუბის მოძებნა იოლი არ არის — განაგრძო აბიატიმ — „მილანი“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და კარგად ორგანიზებული კლუბია. მასზე ნაკლებ კლუბში გადასვლა არ მინდა, უკეთესების მოძებნა კი ძალიან ძნელია. აქედან გამომდინარე, „არსენალში“ გადასვლა ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი არ იქნება. საერთოდ კი მირჩევნია, ივარით გადავიდე, ამ შემთხვევაში თავს ისევ მილანელად ჩავთვლი.“

ირაკლი ნინიძე

„ლივერპულის“ აღმასრულებელი დირექტორის რიკ პერისა და ტაკსინ შინავატრას მოლაპარაკების მერე კლუბის აქციათა 30 პროცენტი ტაილანდის პრემიერს ერგო

პრემიერი ნიღაბია

შინავატრას უყვარს ლივერპული და პრესლი

ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტაკსინ შინავატრამ „ლივერპულის“ აქციათა 30 პროცენტი შეიძინა. ეს რაოდენობა პრემიერს ინგლისური კლუბის მფლობელებმა დევიდ მურმა თავისი წლიდან მიჰყიდა, იგი აქციათა 51 პროცენტის მფლობელი იყო.

ტასკინ შინავატრას ქონება რომან აბრამოვიჩისაზე ნაკლებია, თუმც პრემიერი უფულობას ნაღდად არ უჩივის. თავის დროზე, 14 წლის განმავლობაში, პოლიციაში მუშაობდა, შემდეგ ტელეკომუნიკაციების ბიზნესში ჩაერთო და ბლომად ფულიც მოხვეტა. მისმა პარტიამ სახელწოდებით — „ტაილანდელს უყვარს ტაილანდელი“— 2001 წელს არჩევნებში გაიმარჯვა და შინივატრამ ქვეყანაში რეფორმები დაიწყო. განსაკუთრებით ნარკოტიკებით მოვაჭრეები სძულს და მათ ემტერება.

ტასკინ შინავატრას ძალიან უყვარს ელვის პრესლი. პრემიერს ჰყავს 17 წლის გოგო, რომელიც მაკდონალდში სამუშაოდ გაუშვა, მამის სიმდიდრემ არ გაანებივროსო.

ტაილანდის პრემიერს სურს, რომ „ლივერპულის“ სახელი თავის საქმიანობაში გამოიყენოს და იმავდროულად, რა თქმა უნდა, კლუბისთვის მილიონებს არ დაიშურებს. შინავატრას აქციათა 30 პროცენტი 100 მილიონი დოლარი დაუჯდა და კიდევ ორი ამდენის დახარჯვას აპირებს.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური „რეალის“ ნახევარმცველი ხოსე მარია გუტი მადრიდელთა კრიზისზე ალაპარაკდა: „სეზონის დასაწყისში ყველაფერი კარგად იყო და ჩვენ ტიტულების მოსაგებად მზად ვიყავით, მაგრამ ბოლოსკენ დაღლილობა დაგვეტყო. გუნდში ძალიან რთული პერიოდია, ფსიქოლოგიურად დათრგუნულები ვართ, მაგრამ ყველანაირად უნდა ვეცადოთ მდგომარეობიდან გამოსვლას. პრიმერაში მეორე ადგილი უნდა შევინარჩუნოთ, რათა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი თავიდან ავიცილოთ და არც „ბარსელონამ“ გადაგვასწროს“ — განაცხადა გუტიმ. „სამეფო კლუბის“ ვიცე-კაპიტანმა ორი სიტყვა მთავარ მწვრთნელზეც თქვა: „კარლუშ კეირუშიც, ფეხბურთელების დარად, თავს ცუდად გრძნობს. „რეალში“ გადმოსვლა მისთვის მრავალი ტიტულის მოგების შანსი იყო. თუმცა ისიც და მთლიანად გუნდიც ამჟამად გამოფიტულია“.

გერმანული „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი შესაძლოა, თავისი ნებით დაემშვიდობოს კაპიტნის სამკლავურს. კანმა ამაზე ფიქრი შაბათს „ვერდერთან“ დაშვებული მორიგი შეცდომის შემდეგ დაიწყო. „ყველაფერი კარგად უნდა გავიაზრო. არ გამოვრიცხავ, რომ კაპიტნობაზე უარი ვთქვა. რაღაც უნდა შევცვალო, ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება“ — თქვა კანმა.

იტალიურმა „რომამ“ ახალგაზრდა მეკარე კარლო ძოტის კიდევ 5 წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი და... იგი დროებით „პერუჯაში“ განათხოვრა. მომავალი სეზონიდან ივან პელიცოლის კონკურენტი კი ავსტრალიელი ჟელკო კალაჩი იქნება.

გერმანული „ლევერკუზენის“ გენერალურ მენეჯერ რაინერ კალმუნდის თქმით, კლუბის წამყვან მცველ ლუსიოს გადაბირება ერთბაშად 20 ევროპულ კლუბს სწადია. „ჩვენ სულ ცოტა, ოცი შემოთავაზება მივიღეთ. თუმც მათ შორის მეტნაკლებად განსახილველი „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ბაიერნის“, „ჩელსისა“ და „მილანის“ ვარიანტებია. მზად ვართ, ნებისმიერი ფეხბურთელი გავუშვათ სათანადო კომპენსაციის სანაცვლოდ“ — აღნიშნა კალმუნდმა. სავარაუდოდ, ბრაზილიელ მცველში „ფარმაცევტები“ 15-16 მილიონ ევროს ითხოვენ.

თურქული „ბეშიქთაშის“ რუმინელი ფორვარდი ადრიან ილიე შესაძლოა, დონეცკის „შახტარში“ გადავიდეს. „მირჩა ლუჩესკუ პოსტზე რომც დატოვონ, აქ მაინც აღარ დავრჩები. ვგრძნობ, რომ „ბეშიქთაშში“ საჭირო არ ვარ და უკვე ახალ გუნდს ვეძებ. იმედი მაქვს, ივნისის დასაწყისში ყველაფერი მოგვარდება. დიდი შანსია, „შახტარში“ გადავიდე“ — განაცხადა 30 წლის თავდამსხმელმა.

ჩილეს 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება სურს და მზადაა, არგენტინა შეიამხანაგოს. სენატორი ხაიმე ნარანო არგენტინის ხელმძღვანელობასთან და ფიფას პრეზიდენტთან უახლოეს მომავალში აპირებს შეხვედრას. „ჩვენ მშვენივრად შეგვიძლია მუნდიალის ჩატარება. ვიცი, რომ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებსაც უნდათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენც კარგი შანსები გვექნება“ — აღნიშნა ნარანომ.

ინგლისური „ლიდსი“ დროებით უმწვრთნელოდ დარჩა. მას შემდეგ, რაც იორკშირელები ოფიციალურად გავარდნენ პრემიერლიგიდან, კლუბი ედი გრეიმ დატოვა. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გახდება „ლიდსის“ ახალი მწვრთნელი.

იტალიური „პარმას“ თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ განაცხადა, თუ „იუვენტუსის“ გაწვრთნას შემომთავაზებენ, უმალ დავთანხმდებიო. როგორც იცით, სეზონის ბოლოს „ბებერ ქალბატონს“ მარჩელო ლიპი დატოვებს. პრანდელი კი მონაკოელ დიდიე დეშანთან და კიეველ ლუიჯი დელ ნერისთან ერთად „ბიანკონერის“ მომავალ დამრიგებლად მოიაზრება.

პორტუგალიის ნაკრებისა და „პორტუს“ ნახევარმცველი სერჟიუ კონსეისაუ ჩემპიონთა ლიგის ფინალს გამოტოვებს. მან ჩემპიონატის ბოლო ტურში მუხლის ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გამოჯანმრთელდება კონსეისაუ.

ლიბიის მმართველი მუამარ კადაფის ვაჟი ალ საადი, რომელიც იტალიური სერია A-ს „პერუჯაში“ თამაშობს, საავადმყოფოში მოხვდა. 31 წლის ნახევარმცველს შესაძლოა, ბრმა ნაწლავის ოპერაცია დასჭირდეს. შეგახსენებთ, ალ საად კადაფის დებიუტი სერია A-ში რამდენიმე დღის წინ, ტურინის „იუვენტუსთან“ მატჩში შედგა.

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXXII ტური

ობერჰაუზენი 1:2 ალემანია

1:0 ალიაი (18პ), 1:1, 1:2 ბლანკი (59, 76პ)

ნიურნბერგი	32	18	7	7	67:40	61
არმინია	32	16	7	9	49:34	55
ალემანია	32	15	7	10	50:49	52
კოტბუსი	32	14	9	9	49:42	51
მაინცი	32	12	14	6	46:34	50
ობერჰაუზენი	32	13	8	11	46:45	47
აუე	32	12	10	10	42:40	46
დუისბურგი	32	12	8	12	48:44	44
ტრირი	32	12	8	12	46:48	44
ფიურტი	32	10	11	11	55:50	41
ბურგჰაუზენი	32	11	8	13	37:38	41
ალენი	32	11	7	14	33:44	40
უნტერჰახინგი	32	10	9	13	36:43	39
კარლსრუე	32	10	9	13	35:42	39
ლიუბეკი	32	9	11	12	45:53	38
რეგენსბურგი	32	9	11	12	37:48	38
უნიონი	32	8	8	16	40:48	32
ოსნაბრიუკი	32	7	6	19	33:52	27

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXV ტური

ტრუა 3:3 ლორიანი

1:0 საიფი (12), 1:1 გრაგნიჩი (22), 2:1 ნადე (46), 2:2 გუელი (53პ), 3:2 ნადე (68), 3:3 რობსონი (86)

სენტ ეტიენი	35	21	6	8	41:26	69
კაენი	35	17	11	7	49:30	62
ისტრი	35	17	9	9	38:22	60
ლორიანი	35	15	10	10	53:39	55
სედანი	35	13	15	7	35:27	54
ამიენი	35	15	8	12	39:38	53
ნიორი	35	13	13	9	44:39	52
ლე ავრი	35	14	10	11	41:40	52
ნანსი	35	12	13	10	40:33	49
შატორუ	35	13	10	12	43:42	49
ტრუა	35	11	13	11	39:45	46
კრეტეი	35	9	14	12	37:43	41
გრენობლი	35	8	16	11	35:36	40
კლერმონი	35	8	16	11	34:45	40
ანჟე	35	9	12	14	33:41	39
ვალანსი	35	8	13	14	42:51	37
ლავალი	35	8	12	15	44:50	36
გენიონი	35	7	14	14	32:42	35
ბეზანსონი	35	6	14	15	32:43	32
რუანი	35	5	13	17	26:45	28

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IX ტური

იარო — კტპ 3:1; ჰიკ — ჯაზი 4:1; ინტერი — ლაჰტი 4:2; მიქა — ჰამენლინა 3:1; როვანიემი — ჰაკა 1:3; ტამპერე — ალიანსი 1:0

ჰაკა	2	2	0	0	5:1	6
ჰიკ	2	1	1	0	6:3	4
ინტერი	2	1	0	1	4:3	3
იარო	2	1	0	1	3:3	3
კტპ	2	1	0	1	3:3	3
მიუპა	2	1	0	1	3:3	3
ალიანსი	2	1	0	1	1:1	3
ჯაზი	2	1	0	1	4:5	3
ტამპერე	2	1	0	1	2:3	3
ტურკუ	1	0	1	0	2:2	1
ტპ 47	1	0	1	0	1:1	1
ჰამენლინა	2	0	1	1	3:5	1
როვანიემი	2	0	1	1	3:5	1
ლაჰტი	2	0	1	1	3:5	1

ნორვეგია

ტიპელიგა. V ტური

ტრომსიო 4:1 რუსენბორგი

ტრომსიო	5	4	1	0	12:3	13
ოდ გრენლანდი	5	3	2	0	10:3	11
ჰამ კამი	5	2	3	0	5:2	9
ვოლერენგა	5	2	3	0	5:3	9
რუსენბორგი	5	2	2	1	6:6	8
ბოდიო გლიმტი	5	2	0	3	7:8	6
ლილესტრიომი	4	1	2	1	6:5	5
ლინი	5	1	2	2	3:4	5
მოლდე	5	1	2	2	5:7	5
ბრანი	5	1	1	3	5:6	4
სოგნდალი	5	1	1	3	6:9	4
სტაბეკი	5	1	1	3	6:10	4
ფრედრიკსტადი	5	1	1	3	5:11	4
ვიკინგი	4	0	3	1	1:5	3

შვედეთი

ალსვენსკა. VI ტური

ჰამარბი 0:1 ტრელებორგი
ჰელსინგბორგი 1:2 გიოტებორგი
იორგრიტე 2:2 იორტებრო

ჰალმსტადი	6	5	1	0	16:7	16
კალმარი	6	4	1	1	10:5	13
მალმიო	6	3	3	0	12:3	12
გიოტებორგი	6	3	2	1	7:3	11
ჰამარბი	6	3	2	1	5:3	11
ტრელებორგი	6	2	3	1	6:5	9
იურგორდენი	6	2	2	2	9:10	8
იორგრიტე	6	1	4	1	7:7	7
აიკ	6	1	3	2	3:6	6
ლანდსკრონა	6	1	2	3	7:9	5
იორებრო	6	1	1	4	8:16	4
ჰელსინგბორგი	6	0	3	3	7:10	3
სუნდსვალი	6	0	3	3	3:7	3
ელფსბორგი	6	0	2	4	3:12	2

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ოკეანეთი. I საკვალიფიკაციო წრე

A ჯგუფი. I ტური

სოლომონის კ-ები 6:0 ტონგა

1:0, 2:0 ფააროდო (12, 30), 3:0, 4:0 მამაე (62, 76), 5:0 სამანი (77), 6:0 მამაე (79)

ტაიტი 2:0 კუკის კ-ები

1:0 ტემატაუა (2), 2:0 მორეტა (85)

სოლომონის კ-ები	1	1	0	0	6:0	3
ტაიტი	1	1	0	0	2:0	3
ახალი კალედონია	0	0	0	0	0:0	0
კუკის კ-ები	1	0	0	1	0:2	0
ტონგა	1	0	0	1	0:6	0

II ტური: 12 მაისი

სოლომონის კ-ები — კუკის კ-ები
ტაიტი — ახალი კალედონია

II ჯგუფი. I ტური

სამოა 4:0 ამერიკის სამოა

1:0 ბრისი (12), 2:0, 3:0 ფაასავალუ (30, 53), 4:0 მაიკლი (66პ)

პაპუა ახალი გვინეა 1:1 ვანუატუ

1:0 ტუპიანა (72), 1:1 ლაურუ (90)

სამოა	1	1	0	0	4:0	3
პაპუა ახ. გვინეა	1	0	1	0	1:1	1
ვანუატუ	1	0	1	0	1:1	1
ფიჯი	0	0	0	0	0:0	0
ამერიკის სამოა	1	0	0	1	0:4	0

II ტური: 12 მაისი

ამერიკის სამოა — ვანუატუ
ფიჯი — პაპუა ახალი გვინეა

რეკლამა
სარბიელ — ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური								
12 მაისი								
23.45	001	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	3,2	3,3	2,05	1,62	1,24	1,26
ინგლისი. კონფერენსი. პლეი-ოფი. ფინალი								
16 მაისი								
17.00	061	შრიუსბერი-ალდერშოტი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVII ტური								
12 მაისი								
23.45	063	დანდი-ლივინგსტონი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
23.45	064	კილმარნოკი-აბერდინი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.45	065	მოზერუელი-სელტიკი	7,0	4,0	1,4	2,54	1,16	1,03
23.45	066	რეინჯერსი-ჰართსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური								
12 მაისი								
23.30	180	აიაჩო-სოშო	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
23.30	181	ლე მანი-ლილი	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
23.30	182	ლიონი-ბასტია	1,22	5,0	11,0	1	1,09	3,43
23.30	183	მარსელი-მონპელიე	1,7	3,4	4,0	1,13	1,19	1,83
23.30	184	ნანტი-გენგამი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
23.30	185	ნიცა-ტულუზი	2,35	3,1	2,6			
23.30	186	რენი-მეცი	2,25	3,1	2,8	1,3	1,24	1,47
23.30	187	სტრასბური-მონაკო	4,0	3,1	1,85	1,74	1,26	1,15
ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი								
13 მაისი								
23.00	259	ტუბეკე-ოსტენდე	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
23.00	260	გეელი-რუზელარე	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
შვეიცარია. სუპერლიგა. XXXIV ტური								
12 მაისი								
22.30	286	აარაუ-ვილი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
22.30	287	სტ.გალენი-ცრასჰოპერი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
22.30	288	თუნი-სერვეტი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
22.30	289	ქსამაქსი-ბაზელი	2,7	3,3	2,15	1,48	1,19	1,3
22.30	290	ციურიხი-იანგ ბოიზი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXX ტური								
12 მაისი								
22.30	300	ბადენი-ლუცერნი	1,9	3,2	3,4	1,19	1,21	1,64
22.30	301	ბელინცონა-შაფჰაუზენი	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
22.30	302	კიასო-ბულე	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
22.30	303	კრინსი-დელემონი	2,0	3,2	2,8	1,23	1,16	1,49
22.30	304	მეირინი-კონკორდია	2,15	3,2	2,9	1,28	1,23	1,52
22.30	305	სიონი-ვოლენი	1,45	3,8	5,6	1,04	1,15	2,26
22.30	306	ვადუცი-შო დე ფონი	1,45	3,6	5,3	1,03	1,13	2,14
22.30	307	ვინტერთური-ივერდონი	1,75	3,4	3,6	1,15	1,17	1,74
დანია. სუპერლიგა. XXX ტური								
13 მაისი								
22.00	318	ნორდსიელანდი-ოლბორგი	3,0	3,3	2,15	1,57	1,25	1,3
22.00	319	აკადემისკი-ოდენსე	4,2	3,8	1,65	1,99	1,18	1,15
22.00	320	ჰერფიოლგე-ესბიერგი	3,6	3,4	1,8	1,74	1,19	1,17
22.00	321	მიდტიულანდი-ორჰუსი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
22.00	322	ფრემი-ვიბორგი	2,4	3,3	2,5	1,38	1,22	1,42
23.00	323	კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
ნორვეგია. ტიპელიგა. V ტური								
12 მაისი								
22.00	389	ვიკინგი-ლილესტრიომი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
ნორვეგია. I დივიზიონი. VI ტური								
16 მაისი								
21.00	398	ჰიოდი-ალესუნდი	3,4	3,5	1,8	1,72	1,17	1,18
21.00	399	მანდალი-ჰაუგესუნდი	2,05	3,5	2,9	1,29	1,2	1,58
21.00	400	პორს გრენლანდი-სკეიდი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
21.00	401	რაუფოსი-ჰიონეფოსი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
21.00	402	სანდეფიორდი-ბრინი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
21.00	403	სტრიომსგოდსეტი-მოსი	2,4	3,5	2,35	1,42	1,18	1,4
21.00	404	ტრომსდალენი-კონგსვინგერი	3,5	3,6	1,75	1,77	1,16	1,17
21.00	405	ვარდ ჰაუგესუნგი-სტარტი	4,8	3,8	1,55	2,12	1,17	1,1
ხორვატია. 1.HNL. XXXI ტური								
12 მაისი								
20.00	510	ვარტეკსი-ზადარი	1,4	3,6	5,6	1	1,12	2,19
20.00	511	ოსიეკი-ჰაიდუკი	4,8	3,6	1,5	2,05	1,14	1,05
20.00	512	რიეკა-დინამო	4,2	3,3	1,7	1,84	1,21	1,12
20.00	515	სლავენი-ინტერი	1,8	3,2	3,6	1,15	1,19	1,69
იაპონია. ჯეი ლიგა. VII ტური								
12 მაისი								
15.00	616	იოკოჰამა-შიმიცუ	1,5	3,5	5,3	1,04	1,16	2,1
იტალია. თასი. ფინალი. II მატჩი								
12 მაისი								
24.00	627	იუვენტუსი-ლაციო	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
რუსეთი. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები								
12 მაისი								
16.00	629	შინიკი-ტერეკი	1,6	3,3	4,8	1,07	1,2	1,95
16.00	630	კრილია-მოსკოვი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
ჩეხეთი. თასი. 1/2 ფინალი								
12 მაისი								
19.25	631	სპარტა-ლიბერეცი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები								
12 მაისი								
03.05	638	კრუზეირო-დეპორტივო	1,4	3,6	7,5	1	1,17	2,43
03.15	639	ბოკა ხუნიორსი-სპორტინგი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
05.45	640	სან პაულო-როსარიო	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
13 მაისი								
02.30	641	ნასიონალი-ტახირა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
07.30	642	ონსე კალდასი-ბარსელონა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	2,95

			1	X	2	1-X	1-2	X-2
კალათბურთი. ესპანეთი								
12 მაისი								
23.30	1122	ბარსელონა-აუნაკაბლე	1,17	10,0	3,6	1,04	1	2,64
23.30	1123	ვალენსია-უნიკახა	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
23.30	1124	ტაუ-ხუვენტუდი	1,17	10,0	3,6	1,04	1	2,64
კალათბურთი. საბერძნეთი								
13 მაისი								
21.00	1142	ირაკლისი-პაოკ	1,5	10,0	2,1	1,3	1	1,73

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაეზუსტეთ

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	1,75	1,85

I ტაიმის შედეგი

5001	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	3,6	2,1	2,5	1,32	1,47	1,14

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზაგებულად ჩაითვლება)

5401	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	2,0	1,8

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	4,8	10,0	20,0	5,6	4,4	4,0	20,0	10,0	3,1

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5301	საუთჰემპტონი-ნიუკასლი	1,65	1,95

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

ფინალი. სამ მოგებამდე

ბასკო 1:0 დინამო

11 მაისი. ვერის ბაღი

ბასკო 66:61 დინამო

13:15 20:15 15:11 18:20

ბასკო: ი. ბერიშვილი (9), ბოისა (5), კეშელავა (11), იმნაძე (12), ბერძენიშვილი (10); დ. ბერიშვილი (4), როდუმტა (11), ბ. ბერიშვილი (4), ბოლქვაძე, კვიმსაძე

დინამო: ჟღენტი (1), ხოშტარია (14), კეიდია (8), კილაძე (9), მუშკუდიანი (6); ლოსაბერიძე (8), ბეჟანიშვილი (7), მინაშვილი (6), გამყრელიძე (2), გოგობერიშვილი, ჩუბინიძე, აბულაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი; კომისარი: როლანდ ხომერიკი

8 მარტს დოლოდოვაშვილის ფოტო

რა შუაშია უფულობა?

ბასკომ თამაში მწვრთნელის სახლის სამზარეულოში მოიგო

ირაკლი პერტაია

„აწი ყველა მატჩიც რომ წავაგოთ, ჩვენთვის ბევრი არაფერი შეიცვლება, „ბასკო“ მორალური ჩემპიონია და ეს დღევანდელმა თამაშმა ცხადყო“ — აი, რამ ათქმევინა ბათუმელთა თავკაც კანდელაკს ეს სიტყვები:

„ბასკომ“ გუშინწინ 6 კაცით ივარჯიშა, დანარჩენი მოთამაშეები კი ბათუმიდან თამაშამდე რამდენიმე საათის ადრე ჩამოუვიდა. ზღვისპირელებს ორი თვეა, ხეირიანად არ უვარჯიშიათ და ამ ხნის განმავლობაში გასამჯელოდ თეთრიც არ აუღიათ. ბედის ირონიით, „ბასკოს“ გუშინდელ მატჩში ერთ-ერთი ლიდერიც აკლდა — ჟოლივეტ ტუჯანი განაცხადის შესავსებად კი იყო შემადგენლობაში, მაგრამ ყბაგასიებულს თამაშის თავი არ ჰქონდა.

თავკაცმა თავისი გუნდის ამ ვარამზე, ცხადია, ილაპარაკა და დაამატა — „მეტოქე პირობებით ხომ ბევრად გვჯობია და კლასითაც ჩვენზე მაღლა დგას. ამ ვითარებაში გამარჯვება ნამდვილი გმირობაა.“

ისე, მართლაც უცნაურია, ასეთ არათანაბარ პირობებში როგორ მოხდა, რომ დალხენილმა გუნდმა წააგო. ჩვენ ცნობილი მიზეზების გამო ვერიდებით ტაქტიკასა და სტრატეგიაზე საუბარს, მაგრამ ამჯერად თამამად შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ მორალურად და ფინანსურად გატეხილმა „ბასკომ“ სწორედ ზუსტად შერჩეულ სათამაშო სქემის წყალობით მოუგო ბევრად დალხენილ „დინამოს“. ბათუმელთა მწვრთნელმა ზუსტად იცოდა, რას და როდის აკეთებდა, რასაც ვერ ვიტყვით ჩემპიონთა ხორვატ მწვრთნელ დრაჟენ ბრაიკოვიჩზე. „დინამოს“ თავკაცი თამაშში კორექტივების შეტანასაც ეცადა და შეცვლებიც, იცოცხლეთ, ბლომად აკეთა, მაგრამ ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდა, ერთ-ერთმა ქომაგმა ენამოსწრებულად ეს ირონიული სიტყვები თქვა — თუ შუაკი ხორვატიაში ჯერ არ წასულა, ეგებ იჩქარონ და მას ბრაიკოვიჩიც გააყოლონო.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ხორვატი თავს ევროპული დონის სპეციალისტად თვლის და აგერ, უკვე მერამდენედ მარცხდება დღესაც საკალათბურთო წიგნებში მოკირკიტე ნუგზარ კანდელაკთან. „ბასკოს“ თავკაცი მოგვიანებითაა კალათბურთში მოსული და არც მალავს, რომ დღესაც დიდი ინტერესით კითხულობს სტრატეგია-ტაქტიკის კორიფეების ლიტერატურას. ფაქტიც და შედეგიც სახეზეა...

და ასეთი რა მოიმოქმედა ბათუმელთა დამრიგებელმა? წესისამებრ, გუნდი საკუთარ სახლში დაიბარა და მაგიდაზე აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინათ მოედანზე. „ბასკოს“ ამ სეზონში პირველად ჰყავდა მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე ორი ცენტრი. ეს, ცხადია, თავდამსხმელ ტუჯანის არყოფნით იყო გამოწვეული, მაგრამ კანდელაკმა ზუსტად გათვალა, როგორ გადაენაწილებინა ძალები უკანა ხაზზე.

დავით ბერძენიშვილი, პლასიდე როდუმტა, დავით იმნაძე — ამ სამი ცენტრიდან ორი ყოველთვის იყო მოედანზე, რითაც ბათუმელთა სამწვამიანში მეტოქემ მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც ვერ გაილაღა.

მაგრამ — იტყვით — ორი ცენტრით თამაშს რა უნდა, ამ ხერხს ხომ ნებისმიერი მწვრთნელი მიმართავს?! ამ დროს მთელი ტვირთი უკანა ხაზზე გადადის, რაკი მეტოქეს წაგებული აქვს ფარი და ცდილობს, დაბლებით დაბალანსოს თამაშის რიტმი. თუ ორი ცენტრით თამაშისას უკანახაზელებმა ვერ იყოჩაღეს, სამწამიანში უპირატესობა ბევრს ვერაფერს ნიშნავს.

ჰოდა, ბათუმელთა გამარჯვების კვანძიც უკანა ხაზში ძევს — ბერიშვილთა ტრიო, ანატოლ ბოისა და ლაშა კეშელავა არაფერში ჩამოუვარდნენ დინამოელთა მკვირცხლ დაბლებს, ჯიგრით, ბოლომდე იბრძოლეს და „საარაკო“ გამარჯვებასაც გამოჰკრეს ხელი.

ბათუმელთა ფარქვეშა უპირატესობა თამაშის დასაწყისშივე არ გამოკვეთილა. ბერძენიშვილს და იმნაძეს ბრაიკოვიჩმა მუშკუდიან-კილაძის ტანდემი დაუპირისპირა, რომელიც თავს არ ირცხვენდა და „დინამოსაც“ არა უჭირდა. მუშკუდიანისა და კეიდიას ქულებს არჩილ ჟღენტმა საჯარიმოც მიაბა და დინამოელები 6:0 დაწინაურდნენ. ამასობაში „ბასკოს“ მაღლები საბოლოოდ დაეპატრონნენ ფარს და თბილისელთა დაბლებიც ამოქმედნენ. ირაკლი ხოშტარია ძალიან მოწადინებული იყო, ერთი-ორჯერ დაეპირა ბათუმელთა სამწამიანში შეძრომა, მაგრამ მას ლანდივით აეკრა ანატოლი ბოისა და გასაქანი აღარ მისცა. ბათუმელებმა წამოწევა იწყეს, იმნაძის მოულოდნელი სამქულიანის შემდეგ „დინამო“ ქულასლა იგებდა — 9:8. საწყისი მეოთხედის მიწურულს მოედნიდან დასასვენებლად გაიხმეს ბერძენიშვილი და ამ დროს გაიქნია ხელი დინამოელმა ვალერი კილაძემ, რასაც ხოშტარიაც უმალ გამოეხმაურა და „დინამომ“ ათწუთეული 15:13 მოიგო.

თამაშის განახლება და პლასიდე როდუმტას აფეთქება ერთი იყო. ამ ტანხმელ კამერუნელს აქამდე კარგ დამცველად და ცუდ მსროლელად ვიცნობდით, გუშინ კი მან ბომბარდირული თვისებებიც გამოავლინა. მეორე მეოთხედში აფრიკელმა 7 ქულა მიითვალა, სამწამიანში კოხტა მოძრაობით აბრუებდა „დინამოს“ მეფარეებს და ბათუმელებსაც ლიდერობა დაუბევა. ათწუთეულის შუაწელში როდუმტამ ერთ შეტევაში 3 ქულა მოიხვეჭა და „ბასკო“ პირველად და, როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ დააწინაურა.

ბრაიკოვიჩი ალელდა და შეცვლებს უხშირა. ხორვატი მოედანზე რიგრიგობით უშვებდა სნაიპერებს: ბეჟანიშვილი, ლოსაბერიძე, გოგობერიშვილი... ეს ხელჩუბინი კალათბურთელები ნიადაგ სამქულიანის სროლას ეშურებოდნენ, მაგრამ „ბასკო“ იმდენად გონივრულად იდგა დაცვაში, რომ პერიმეტრის გაკონტროლებასაც ასწრებდა.

ტაიმის მიწურულს ბათუმელთა უპირატესობამ სერიოზული სახე მიიღო (30:23), მაგრამ ბოლო წუთებზე მუშკუდიანმა ჩააგდო 2-ქულიანი, რასაც აზარტულად მოთამაშე კეიდიამ სამიანიც მიამატა და პირველი ნახევარი „ბასკომ“ 33:30 მოიგო.

მესამე მეოთხედი კატათაგვობანა გამოდგა — ზღვისპირელები ოდნავ გაიწევდნენ, მაგრამ „დინამო“ კვლავ ქულის გაწვდენაზე აღმოჩნდებოდა და ამას ძირითადად შეუპოვარი ირაკლი ხოშტარიას მეშვეობით ახერხებდა. საბოლოოდ „ბასკომ“ მაინც იძალა. ზონაში ჩადგა და შედეგიანი კონტრშეტევებით გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 48:41.

ბრაიკოვიჩმა თამაშის გადარჩენა დაცვის გამაგრებით განიზრახა და არც შემცდარა. ახლა უკვე დინამოელები შეიკეტნენ ზონაში და სწრაფი გარღვევებით მოხვეჭილი ქულებით თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ისევ მინიმუმამდე შეამცირეს ჩამორჩენა — 50:51. კანდელაკმა ამ დროს მოედანზე პერსონალური მეურვეობის ოსტატი ბოისა გამოიყვანა.

არაერთი მცდელობის შემდეგ ლაშა კეშელავამ უმნიშვნელოვანეს მომენტში ჩააგდო 3-ქულიანი, რასაც მიჯრით 4 ქულაც მოაყოლა და დასრულებამდე სამწუთნახევრით ადრე „ბასკო“ 58:52 დააწინაურა. ბრაიკოვიჩის გუნდმა ეს ჩამორჩენაც თითქმის აღმოფხვრა, გამყრელიძე-მინაშვილის შედეგიანობით, ვინ მოსთვლის, მერამდენედ მიუახლოვდა ბათუმელებს ერთი ქულით — 57:58.

და აი, აქ, „სტუ-ჯეოსელთან“ გადამწყვეტი მატჩისა არ იყოს, ისევ „ჰატარა“ ბოისამ იყოჩაღა. ამას ცუდი სროლა აქვსო, დინამოელები სხვა ბათუმელ სნაიპერებს „დააჯდნენ“ ხელზე. ქერა ბიჭიც ადგა და „ოქროს“ სამქულიანი გაისროლა — სირენამდე წუთნახევრით ადრე ზღვისპერელები 61:57 დააწინაურა.

„დინამო“ არც აქ გატყდა. ტანდაბალმა ლაშა გამყრელიძემ ბეჟანიშვილს აცილებული თავისზე ორი თავით მაღალ ბათუმელებს მოუხსნა და ლოსაბერიძეს „სამქულიანი“ პასი მიაწოდა.

„ბასკო“ 2 ქულითღა იგებს და ამ დროს ბერძენიშვილი ფარქვეშიდან ხელმრუდობს... საჯარიმო ხაზე აღმოჩენილ ლოსაბერიძეს სირენამდე 40 წამით ადრე გათანაბრების შანსი ეძლევა, მაგრამ ორივე სროლას აცილებს და მომდევნო შეტევაში „ბერძენა“ უკვე გამარჯვებას უნაღდებს ბათუმელებს.

8 მარტს დოლოდოვაშვილის ფოტოები

ნეტავ დღეს რას იზამს დრაჟენ ბრაიკოვიჩი?

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ: ᲥᲐᲦᲚᲘ ᲗᲘᲕᲐᲖᲔ

ᲑᲖᲓᲔᲚᲘᲙᲘ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ

ასეთი ტრადიცია მკვიდრდება: ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან ჩამოსული კალათბურთელები პრესკონფერენციებს აწყობენ, ქართულ მედიას ერთად მოაქუჩებენ და ერთ დიდ საზოგადოებრივ ინტერვიუს გასცემენ. ასე გააკეთა ზაზა ფაჩულიამ ამას წინათ, ორლანდოდან რომ ჩამოვიდა. გუშინ მასვე მიჰბაძა 8 მაისს თბილისში დაბრუნებულმა ნიკა ცქიტიშვილმა და ალბათ ამასვე იზამს ვლადიმერ სტეფანია, საქართველოში თუ ჩამოვა.

ეს ინიციატივა ფედერაციიდან მოდის, რაკი ცქიტიშვილს კვირას ვერის ბაღში რომ შევხვდით, რა პრესკონფერენცია, აგერ ვისაუბროთ, რამდენიც გენებოთო, გვითხრა. მოკლედ, ფედერაცია ცდილობს, ყველაფერი უმაღლესი დონის, ევრო-ამერიკულ ჩარჩოებში მოაქციოს და ამას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე იმაზე მეტიც არ თქმულა, რასაც გუშინწინდელ „სარბიელში“ გამოქვეყნებულ ცქიტიშვილის ინტერვიუში ამოიკითხავდით. და მაინც...

„სამოდე კვირაში იტალიაში უნდა წავიდე „ბენეტონის“ ტრადიციულ კემპზე — ამბობს ცქიტიშვილი პრეზენტაციაზე — მანამდე საქართველოში დავისვენებ, ნათესავ-მეგობრებს მოვინახულებ. „ბენეტონის“ კემპის დასრულებისთანავე ჩვენს ეროვნულ ნაკრებს შევუერთდები, რომელსაც იტალიაში შეკრება და ამხანაგურ ტურნირში მონაწილეობა აქვს დაგეგმილი...

...წლევანდელ სეზონზე რა უნდა ვთქვა, თითქმის სულ სკამზე ვიჯექი. გასულ ზაფხულს ისეთ ფორმაში ვიყავი, ყველა მეუბნებოდა, 25-30 წუთს ნაღდად გათამაშებენო. გუნდის პრეზიდენტ კიკი ვანდეგეიჯსაც ასე ეგონა, მაგრამ მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა გაიგიჟა თავი. კერძო საუბრებში თავად ბზდელიკიც არ მაკლებდა ქებას, მაგრამ თამაშებმა რომ მოატანა, აღარც გავხსენებივარ. რა ვიცი, ეგებ წლეულს გუნდიდან გაუშვან, ამაზე არის უკვე ლაპარაკი. ხოლო თუ მე გამიშვებენ, დიდი სიამოვნებით წავალ, მაგრამ კიდევ 2-წლიანი კონტრაქტი მაქვს. ისე, შუა სეზონში „ტორონტოს“, „ფინიქსსა“ და „ლეიკერსს“ ვუნდოდი, მაგრამ რა მერე, „დენვერმა“ ლაპარაკიც არ ისურვა ამ გუნდებთან...

ნბა-ს საზაფხულო ლიგებში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, რათა კიდევ უფრო გავძლიერდე და თუ ბზდელიკი დარჩა, უფრო მეტი სათამაშო დრო გამოვტყუო...

ნაკრებში სათამაშოდ აუცილებლად ჩამოვალ სექტემბერში, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი გუნდი ევროპის შესარჩევ ტურნირზე გავიყვანოთ. არადა, საქართველოს ნაკრებს რომ პოტენცია აქვს, ბევრი ევროპული ქვეყანა ინატრებდა. იტალიას საერთოდ არ ჰყავს ნბა-ში ლეგიონერი, ესპანეთს კი მხოლოდ ორი. თანაც 3 ნბა-ელის გარდა კიდევ არაერთი ლეგიონერია სერიოზული დონის ევროპულ კლუბში, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ...“



ᲕᲣᲠᲐᲚᲘ ᲓᲔᲚᲘᲜᲐᲯᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

ᲚᲐᲒᲐᲫᲔᲡ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲛᲘᲫᲚᲔᲕᲐ

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ. ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 2,425 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲐᲒᲐᲫᲔ (საქართველო) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:0, 3:6, 7:6 (7:1); **ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲝᲠᲘᲐ** (2, არგენტინა) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 3:6, 6:4, 7:5; **ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ** (რუსეთი) — სებასტიან გროჟანი (8, საფრანგეთი) 7:6 (8:6), 7:5; **ᲘᲝᲐᲮᲘᲛ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (შვედეთი) — მარკ ფილიპუსისი (10, ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:1; **ᲝᲚᲘᲕᲘᲔ ᲠᲝᲮᲣᲡᲘ** (ბელგია) — პარადორნ შრიჩაფანი (11, ტაილანდი) 6:3, 6:4; **ᲤᲚᲝᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲘᲔᲠᲘ** (გერმანია) — ირჟი ნოვაკი (15, ჩეხეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:4; **ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ** (16, ესპანეთი) — ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) 6:2, 6:0; **ᲢᲝᲛᲘ ᲰᲐᲑᲡᲘ** (გერმანია) — ვინს სპადეა (აშშ) 6:0 სპადეამ შეწყვიტა

ირაკლი ლაბაძემ ჰამბურგული მასტერსობა იმით დაიწყო, რომ ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის პირველსავე წრეში მის მძლეველ ხუან იგნასიო ჩელას გაუსწორდა. ეს ლაბაძის მე-19 საამსეზონო მატჩი გახლდათ და 8 მარცხის წილ ის უკვე 11 გამარჯვებას მოიძევს. მომდევნო წრეში ის დღეს ან მეცხრე ნომრად განთესილ ჩილელ ნიკოლას მასუს შეხვდება ანაც ავსტრიელ იურგენ მელცერს. მელცერისა რა მოგახსენოთ, მასუმ კი ჩვენიანს ერთი კვირის, რომაული მასტერსის სწორედ მეორევე წრეში აჯობა და ამდენად ლაბაძეს რევანშის ასაღებად ვინძლო ჩინებული შანსი მიეცეს.

სხვაფრივ: თავისი ზედიზედ 27-ე თიხნარმოგების მისათვლელად ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ გილერმო კორიას ფიცხელი ბრძოლა გადახდა 18 წლის ნიჭიერ ესპანელ ნიკოლას ალმაგროსთან. ეს მზარდი ტალანტი ჩვენი თვალთახედვის არეში ბარსელონურ ტურნირზე მოექცა, სადაც მან კარიერის პირველი საეიტიპიო გამარჯვება მოიხვეჭა და ერთგვარად გვისიგნალა კიდეც, რომ მალე ზეპურ მარაქში გამოერევა.

ზედიზედ 27 თიხნარმოგება კი კორიამ შარშანდელი ბრწყინვალე თიხნარსეზონით დაიწყო, როცა 15 მატჩი და სამი ტიტული მიიმწკრივა. დარჩენილი 12 კი — ორი ტიტულითურთ — უკვე წლევანდელზე მოდის.

შეგახსენებთ, რომ ასეთი წარმატებული თიხნარსერია განთქმული ავსტრიელი მეჩოგნის, ტომას მუსტერის შემდეგ აღარავის ჰქონია. მუსტერმა 1995-96 წლებში ერთმანეთს სულაც 38 გამარჯვებაც მიაწყო — 15 პირველ წელს, 23 კი მომდევნოში.

ახლა დანარჩენ მატჩებზეც:

მარატ საფინმა მერვე შეხვედრაში უკვე მეექვსედ აჯობა წლეულს ძალზედ უფერულად მოჩოგნავე სებასტიან გროჟანს. ასევე დამარცხდა ამ სეზონში გროჟანის დარად მოვაინაჩრე მარკ ფილიპუსისიც — ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში წაგების შემდეგ მან ზედიზედ მეშვიდე მარცხი იწვნია. არავის გაჰკვირვებია კიდევ ორი განთესილი მეჩოგნის — პარადორნ შრიჩაფანისა და ირჟი ნოვაკის ოტებაც.

მხოლოდ იმასღა დავსძენთ, რომ ნოვაკი 20 წლის გერმანელმა ფლორიან მაიერმა გააძევა, ვინაც წინა თვეში, ეშტორილურ თიხნარზე თავის პირველ საეიტიპიო ნახევარფინალს უწია და ჰამბურგული დებიუტიც რიგიანად ჩაითამაშა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ



ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲝᲠᲘᲐ

2004 NBA Playoffs

ᲔᲡ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲬᲐᲕᲐ

10 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 2:1 ᲛᲐᲘᲐᲛᲘ

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 94:87 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ: ვეიდი (25), ჯონსი (12), კ. ბატლერი (12), ოდომი (16), გრანტი (6 ქულა, 16 მოხსნა); ალენი (13), ალსტონი (5), რ. ბატლერი (3), ჰეისლიმი (2)

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ: ტინსლი (16), მილერი (4), არტესტი (14), ონილი (29), ფოსტერი (3); ჰარინგტონი (13), ბენდერი (4), ჯონსონი (3), ჯონსი (1)

დუეინ ვეიდი პირით ხაზთან დაუძვრა მეურვეს, თანაგუნდელ ლამარ ოდომისგან პასი მიიღო, აიწია და ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველ ჯერმენ ონილს თავზე გადაატენა ბურთი. განა მაღალია, მხოლოდ 191 სანტიმეტრს აითვლის იატაკიდან, ჯერმენ ონილი კი 211 სანტიმეტრია და მტრისას, ისეთი დამფარებელია.

ვეიდისთანა „თავხედ“ ბიჭზე იტყვიან — შორს წავაო. ჯერჯერობით მან „მაიამი ჰითი“ პლეი ოფის მეორე წრემდე მოიყვანა და აქაც ზედიზედ ექვსი მატჩის მომგებ „ინდიანას“ გამარჯვება გააგდებინა. მშვენიერი დასაწყისია ახალბედასთვის. ამ წელს ნბა-ს ორი ხმაურიანი ახალბედა შეემატა — ლებრონ ჯეიმსი და კარმელო ენტონი, მაგრამ ახლა მესამემაც გამოანათა. მაშ ასე, იცნობდეთ — დუეინ ვეიდი.

„მაიამის“ ჭაბუკმა გამთამაშებელმა 25 ქულა ჩაუგდო აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს, აქედან 14 ბოლო მეოთხედში: ესე იგი, რკინის ნერვები ჰქონია. სწორედ პატ რაილის გემოვნების ბიჭია — ზორბა, სწრაფი, ათლეტური და მონდომებული. დიდ პატ მასწავლებელს ვინძლო გულიც დასწყდეს, მწვრთნელობა რად მივატოვე და ეს ბიჭი სხვის ხელში გავზარდეო. ისე, სწორედ პატმა აირჩია „მაიამისთვის“ ვეიდი დრაფტზე, მწვრთნელობა კი რაილის მემკვიდრემ სტენ ვან განდიმ გაუწია.

ვეიდს ყველაზე მეტად ლამარ ოდომმა წააშველა ხელი, 16 ქულა გაიღო. 12-12 ქულაა სხვა ლიდერების — კერონ ბატლერისა და ედი ჯონსის ანგარიშზე. ამათმა „მაიამიმ“ კი თავის ანგარიშზე 1 გამარჯვება დასვა და ესეც საქმეა ამ უპრეტენზიო გუნდისთვის.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 1:3 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ

ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 113:114 ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ 104:104

ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ: ბიბი (19 ქულა, 10 პასი), კრისტი (24 ქულა, 12 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (31), ვებერი (17), დივაცი (9); მილერი (8 ქულა, 10 მოხსნა), პილერი (7), ბაფორდი

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ: კასელი (9), ჰასელი (16), სპრიუელი (25 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), გარნეტი (30 ქულა, 15 მოხსნა, 5 დაფარება), ჯონსონი (9); ჰოიბერგი (14), მადსენი (4), მარტინი (3), ტრენტი (2), ოლოვოკანდი (2)

კევინ გარნეტმა მშვენივრად იცის ნბა-ს ცხოვრების ფორმულა — სეზონის უძვირფასესი მოთამაშეობა რეგულარული ჩემპიონატის ძვირი, მაგრამ მაინც ინდივიდუალური პრიზია, სუპერვარსკვლავები კი პლეი ოფში იბადებიან და არა რეგულარულ ჩემპიონატში. 2003-04 წლების სეზონის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე პლეი ოფშიც იქმნის დიდი ვარსკვლავის რეპუტაციას და ახალ სიმაღლეებს იპყრობს. წლეულს „მინესოტამ“ არსებობაში პირველად გადალახა პლეი ოფის პრიველი ეტაპი და მეორეს გავლის მშვენიერი პერსპექტივაც გამოუჩნდა. საკრამენტოში იქაური „კინგზის“ ოვერტაიმში ძლევის შემდეგ „მგლები“ სერიაში 2:1 დაწინაურდნენ და მოედნის უპირატესობა დაიბრუნეს.

ლომივით ბდღვინავდა მთავარი „მგელი“ კევინ გარნეტი — თავისი 30 ქულიდან 15 მეოთხე მეოთხედსა და ოვერტაიმში გაიღო.

„საკრამენტოს“ მეტოქეზე მეტი საპლეიოფო გამოცდილება აქვს და არავინ გაოცებულა, „კინგზმა“ ბოლო მეოთხედში 14-ქულიანი ჩამორჩენა რომ გააბათილა. „მინესოტამ“ აქ ვერაფერი მოახერხა, მასპინძელთა სერბმა სნაიპერმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ათი წამით ადრე სამქულიანით 104:104 გაათანაბრა და ბრძოლა ოვერტაიმში გადაწია.



ეს საიდანღა გამოვარდა?!
დუეინ ვეიდმა „ინდიანას“ მოუგო

ასეთ დროს გამოუცდელები იბნევიან და მუდმივი დაძაბულობისგან იღლებიან, თუმც კევინ გარნეტმა გამოცდას გაუძლო და სირენამდე 10,8 წამით ადრე 114:113 დაწინაურა „მინესოტა“. ეს ბურთი გამარჯვებისა გამოდგა. „ეს ისაა, რასაც ყველა მოითხოვს ლიდერისგან, გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიიღო — ამბობს გარნეტი — თუ ჩააგდე, გმირი ხდები, ვერა და, ყველას შეძულდები.“

ოღონდ აქ ისაა გასარკვევი, ბურთის ჩაგდების შემდეგ ის გმირი გახდა თუ ანტიგმირი. საკრამენტოელთა აუდიტორიაში მას გმირობაზე პრეტენზია ვერ ექნება, უფრო პირიქით, ერთი-ორ წყება წყევლა-კრულვასაც მიიღებდა.

სერიის მეოთხე თამაშსაც საკრამენტო მასპინძლობს.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲬᲘᲐ

ჩვენ ენთუზიაზმით მოვდივართ!

ქართულ რაგბის სპონსორი და ყურადღება არ მოაკლდება

რაგბის ჯავშირში თანამდებობათა ცვლაა და სულ ახლახან ახალი გენერალური მდივანიც დაინიშნა. სოსო მაისურაძე, ყოფილი მორაგბე, პროფესიით ჯი ექიმი. ორი წელი ქარელის რაიონში ექიმ-ანესთეზიოლოგად მუშაობდა, შემდეგ ჯანმრთელობის სამინისტროში აპარატის უფროსის მოადგილედ, ახლა ჯი საქართველოს რაგბის ჯავშირის „გენსეკი" გახდა. რა სიტუაცია დახვდა მას ჯავშირში, რის გაკეთებას აპირებს იგი ქართული რაგბის განვითარებისთვის ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ სოსო მაისურაძეს რაგბის ჯავშირში



ნინო ლეჟავას ფოტო

— უპირველეს ყოვლისა, რის გაკეთებას ან შეცვლას გეგმავთ?

— ჩამოვაყალიბეთ აღმასრულებელი სტრუქტურა და სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მუშაობა წესდებაზე.

— წესდებას მთლიანად შეცვლით?

— წესდება ძირეულად არ შეიცვლება, რადგან წინა წესდება ასე თუ ისე, ნორმალური გახლდათ იმ ეტაპისთვის, თუმც ბევრი პუნქტია დასალაგებელი.

— და მაინც, ხომ ვერ დააკონკრეტებთ რა პუნქტები?

— უფლებამოსილებები უნდა გადანაწილდეს ნორმალურად. ყველამ მკაცრად უნდა გაითავისოს, რა ევალება და შესაბამისად პასუხისმგებლობაც აქედან დაეკისრებათ. ფინანსურადაც სათანადოდ დაუფასდებათ შრომა.

— ფინანსების მოძიებას საიდან აპირებთ?

— სპონსორებისგან. ამაზე პრესკონფერენციაზეც განვაცხადეთ. ამ საკითხით ლევან იოსელიანია დაკავებული. „კასტელი" ეროვნულ ნაკრებს დააფინანსებს, ხოლო „ალდაგი" ეროვნულ ჩემპიონატს.

— ლევან იოსელიანი ადრე მორაგბე იყო...

— დიახ, ვეტერანი მორაგბეა, „ალდაგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

— რაგბის კავშირის თანამშრომლებს ვინ გადაუხდის ხელფასს?

— სახელმწიფოსგანაც გვაქვს ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები და „ალდაგიც" დაგვეხმარება. აქედან დაფინანსდებიან კავშირის თანამშრომლები.

— თქვენ უკვე ჩაიხედეთ კავშირის სამზარეულოში?

— ბოლომდე ჯერ არა, თუმცა გარკვეული წარმოდგენა უკვე შემექმნა.

— მაინც რა?

— ბევრია გასაკეთებელი. ამ ეტაპზე ძველი დებულებით გაიმართება თასის გათამაშება, მაგრამ ვმუშაობთ ამ საკითხებზე. შეიცვლება ჩემპიონატის გამართვის ფორმატი, რაც ეროვნულ ნაკრებს სასიკეთოდ წაადგება და, რაც მთავარია, მწვრთნელთა აზრი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იქნება.

— ამბობთ, რომ ბევრია გასაკეთებელი. არ დააკონკრეტებთ, რა?

— ჯერჯერობით თავს შევიკავებ დაკონკრეტებისგან.

— როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია შემოგრიგდებათ?

— ჩვენ მორაგბეები ვართ და კაცურად უნდა გავერთიანდეთ. ვთვლი, რომ იმ პერიოდში იყო აზრთა სხვაობა. ჩვენ მზად ვართ, გავიზიაროთ მათი შემოთავაზებები და ერთად ჩავდგეთ ქართული რაგბის სამსახურში.

— რთულია გენერალური მდივნობა?

— თავიდან შეიძლება რთულიც იყოს, მაგრამ შემდეგ დალაგდება ყველაფერი და მუშაობა საათივით აეწყობა.

— კავშირის მმართველთა ახალი გუნდი კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს? რაიმე აზრთა სხვადასხვაობას ხომ არ ჰქონდა ადგილი?

— არა, ყველაფერი წესრიგშია.

— რა მიზანი გაქვთ?

— ახალი სიმაღლეებისადმი სწრაფვა, რომ ნაკრებმა და საერთოდ ქართულმა რაგბიმ უკეთ წარმოაჩინოს თავი. წინა კავშირის მუშაობით ბორჯღალოსნებმა საკმაოდ ბევრს მიაღწიეს.

— ეროვნულ ჩემპიონატს რაღა ეშველება? არ ფიქრობთ, გაგაძლიეროთ?

— ჯერ ალბათ ეროვნული ჩემპიონატის დონე, ნაკრები წინ ვერ წავა, რადგან ეროვნული გუნდი მხოლოდ ლეგიონერებს ვერ დაეყრდნობა.

— ლეგიონერებზე რას იტყოდით?

— ვცდილობთ, ჩვენი ლეგიონერების პირობები გავაუმჯობესოთ. იმაზეც ვიმუშავებთ, რომ ჩვენს ბიჭებს ბევრად ხელსაყრელი კონტრაქტები გავაფორმებინოთ.

— კვლავაც ამდენი მორაგბე გაედინება საქართველოდან? ამის ფონზე ჩემპიონატი ხომ საერთოდ შესუსტდება?

— სწორედ იმაზე ვმუშაობთ, მორაგბეებს აქ შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ სამშობლოს დატოვების სურვილი აღარ ჰქონდეთ. დარწმუნებული ვარ, კავშირის მუშაობა უფრო დაიხვეწება და რაგბის საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდება. სიმართლე გითხრათ, მართლა დიდი ენთუზიაზმით ვართ მოსულები და ვფიქრობ, ბევრსაც გავაკეთებთ.

— ესე იგი ფული საკეთებლად არ ხართ მოსულები, რადგან ბევრი ამბობს, რაგბი მსუყე ლუკმაა...

— არ ვიყავი ჩახედული წინა სტრუქტურის მუშაობაში და ვერაფერს ვიტყვი, თუმც ვფიქრობ, ისინიც ალალად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. რაც შეგვეხება ჩვენ, პირდაპირ ვამბობ, ფული არ გვაინტერესებს.

— ისე გაქვთ ფული?

— ბევრი ფული ნამდვილად არა, მაგრამ ჩვენთვის სამყოფი გვაქვს და აქეთ თუ მოვიტანთ, თორემ იქით წაღებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

ნინო ლეჟავა

მთავრობამ რაგბის ხეს წყალი დაუსხა

ბოლო წლებში არაერთგზის გამოთქმული აზრი, რომ სახელმწიფოს რაგბი არ აინტერესებს, იქნებ კავშირიდან გუშინ გამოტანილმა ერთმა ინფორმაციამ შეგვაცვლევინოს: 16-22 მაისს რუმინეთი 20 წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. პატარა ბორჯღალოსნები ბუქარესტში ზეგ პრეზიდენტის თვითმფრინავით, თავად მიხეილ საკაშვილთან ერთად გაფრინდებიან და ჯერჯერობით მათგან მთავრობის მხოლოდ ქება გვესმის, ამბობენ — ყურადღება ვიგრძენითო.

არავინ იცის, როგორ ითამაშებს დავით ჩავლეიშვილისა და ნუგზარ ძანგიძის გუნდი, მაგრამ განწყობა რომ მეტოქეებზე ამაღლებული ექნებათ, წყალი არ გაუვა. ნაკრები სრული შემადგენლობით ორიოდ კვირის წინ შეიკრიბა და მოსამზადებელი ეტაპი კლუბებთან საკონტროლო შეხვედრებით გაამდიდრა.

ევროპის ჩემპიონატში რვა ნაკრები იასპარეზებს. უკვე ცნობილია მეოთხედფინალის წყვილებიც. ბორჯღალოსანთა პირველი მეტოქე ლიტვა უნდა ყოფილიყო, თუმც ბალტიისპირელებმა რუმინეთში ჩასვლა ადრევე იუარეს, აქაოდა, გუნდში ბევრი სტუდენტი გვყავს და მათთვის ახლა თამაშზე მნიშვნელოვანი გამოცდების ჩაბარებააო. რაგბის საერთაშორისო ფედერაციამაც ლიტველთა მაგივრად სერბებს უხმო. მათთან მატჩი 16 მაისს კონსტანცაში იქაური დროით 18 საათზე ჩვენებურად კი 21-ზე დაიწყება.

წესით და რიგით, ნახევარფინალში გასვლა პრობლემა არ უნდა იყოს. იქ კი 19 მაისს ესპანეთ-პორტუგალიის წყვილში გამარჯვებული შეგვხვდება. ბადის მეორე მხარეს ფავორიტები რუმინელები და რუსები არიან. პირველ ბარიერს (უკრაინასა და ბელგიას) ალბათ ორივე ადვილად გადალახავს და ფინალში გასასვლელად ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

თუ ქართველებმა ნახევარფინალიც დაძლიეს და შემდეგ 22 მაისს რუმინული ან რუსული კედელიც დაანგრიეს, ჩემპიონობასთან ერთად მომავალ წელს ამერიკაში გასამართი 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც გაინაღდებენ.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

შოთა მელიქიძე (უნივერსიტეტი), ირაკლი ჭყონია (ყოჩები), გიორგი სანიკიძე (ლელო), გიორგი ჟღენტი (ლოკომოტივი), ელიზბარ ყუფარაძე (ხულიგანა), მამუკა გორგოძე (ლელო), შალვა სულთანიშვილი (უნივერსიტეტი), არჩილ ალიქაძე (აკადემია) ლაშა ქათამაძე (აკადემია), იური ნატროშვილი (აკადემია), ვახტანგ ახვლედიანი (ხულიგანა), ჯაბა მალაღურაძე (ყოჩები), თორნიკე ენუქიძე (ლელო), ვახტანგ ფაილოძე (ყოჩები), ლადო კილასონია (უნივერსიტეტი), გიორგი მჟავანაძე (არმაზი), თემურ სოხაძე (ყოჩები), დავით კაჭარავა (ყოჩები), რეზო გიგაური (ლოკომოტივი), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), ლაშა შალიკაშვილი (ლელო), ოთარ ბარკალაია (ლელო), ბექა გიგაური (უნივერსიტეტი), გიორგი გეგიძე (აკადემია)

რუსეთი მწვრთნელს ეძებს

კლოდ სორელი ხომ არ იპოვა?

რუსეთი მორაგბეთა 7-კაცა ანაც 15-კაცა ნაკრებს, შესაძლოა, კლოდ სორელმა უმეთაუროს. ერთი შეხედვით ეს ჭორის ლონის ამბავი რუსთა ახლანდელმა თავკაცმა იური პერვუხინმა დაადასტურა. პერვუხინი თავად გადადგა „დათვების" „მომთვინიერებლის" თანამდებობიდან, თუმც როგორც შემდეგ გაირკვა, დროებით მაინც დარჩა პოსტზე.

„სორელი თავად მოვიდა ჩვენს რაგბის კავშირში ამ ინფორმაციით — გვეუბნება პერვუხინი — და გარკვეული შანსი მართლაც აქვს. თუმც ნაკრების მწვრთნელობის მთავარი კანდიდატი მაინც სულ სხვა — ინგლისელი სპეციალისტი გახლავთ."

ბორჯღალოსნების მსოფლიოს თასზე გამყვანი, მაგრამ იქ ყველა თამაშის წამგები კლოდ სორელი მსოფლიოს თასიდან რამდენიმე კვირაში გადადგა. ის შემდეგ საქართველოში თხოვნით იყო ჩამოსული — ჩვენი 7-კაცა ნაკრები გაეწვრთნა, თუმც ის საქმე ჩიხში შევიდა. სორელს ხშირად უთქვამს, სიამოვნებით ჩავიბარებ რომელიმე საშუალო ქვეყნის 7-კაცა ნაკრებსო. ჩვენს მეზობელ და მოქიშპე რუსებს კი ვაკანსიები გაუჩნდათ.



კლოდ სორელი რუსეთისკენ მიიწევს

ბადრი კობულაშვილის ფოტო



მოსკოვიდან ჩამოსული წყალბურთელები პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტო

სოფიადან ჩამოსული სოსო მაისურაძის (მარცხნივ) გუნდს კი მთავრობისგან პრემია დახვდა

შეაფასეს და დააფასეს

წყალბურთელებს ჯრემია და დახვედრა ერგოთ

საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული გუნდის წევრებს სოფიაში თანატოლთა ევროპის პირველობის შესარჩევ შეხვედრებზე გასამგზავრებელი ფული რომ არ ჰქონდათ, ბოლოს ისე წაუვიდათ საქმე, რომ საამისო თანხაც გამოჩნდა და იქიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ჩვენს ბიჭებს 500-500 ლარი ჯრემიაც ერგოთ. ეს მოხდა გუშინ „ლაგუნა ვერეს" კომპლექსში, სადაც გუნდის წევრებს შეხვედრა მოუწყვეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის ჯრემიერი ბიძინა ბრეგაძე და ვიცემერი გიორგი არევაძე, რომლებმაც იმ ჯრემიებით გაახარეს წყალბურთელები.

წყალბურთელებს, გუნდისა და ფედერაციის ხელმძღვანელებს ეს წარმატება არა მხოლოდ მატერიალურად, მორალურადაც დაუფასდათ, როცა ქალაქის თავებმა მათ საქართველოს ჯრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით საპატიო სიგელები გადასცეს.

ჯრეზიდენტის სამსახურმა გუნდის წევრებს ის ფოტოებიც გამოუგზავნა საჩუქრად, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის პირველობამოგებულ ჩვენს წყალბურთელებთან და იმ დროშასთან ერთად გადაიღო, გამარჯვების აღსანიშნავად მოსკოვის აუზში რომ დაასველეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ის გამარჯვება, როგორც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ჯრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა თქვა, ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში დაკავებულ პირველ ადგილზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოს ჯრეზიდენტმა მიიღო სახელმწიფო ჯროგრამა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საცურაო აუზების აღდგენასა და საწყლოსნო სახეობათა განვითარებას ითვალისწინებს.

გუშინვე ჩვენი წყალბურთელები და გუნდის მესვეურები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სჯორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა მიიღო.

ავთანდილ ბუკიშელი

მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (ჯრაღა, ოსტრავა)

გმირის ვარამი

დანი ჰიტლიმ ცხელი გული ყინულზე დადო



ჰოკეიში წარმატების მიღწევა მთელი გუნდის შემართებასა და თავგამოდებას ნიშნავს, სხვაგვარად წარმოუდგენელია. მაგრამ, ისევე როგორც ისტორიაში, სჯორტშიც და ყველა სხვა სფეროში პიროვნებებზეც ბევრია დამოკიდებული... ერთ ასეთ პიროვნებაზე მოგითხრობთ — დანი ჰიტლიზე, რომელმაც ჩემპიონატის თითქმის ყველა ხელმისაწვდომი ტიტული მოიგო

ნახევარი წლის თვის წინ კანადელ დანი ჰიტლის ჰოკეისთვის არ სცხელოდა. მისთვის მთავარი სულ სხვა იყო — ცხოვრებამ მძიმე გამოცდა მოუწყო. გეხსომებათ, 2003 წლის ოქტომბერში ავტომობილი, რომელსაც ჰიტლი 120 კმ/სთ სიჩქარით მართავდა, აგურის კედელს დაეჯახა და ჰიტლის გვერდით მჯდარი თანაკლუბელი დინ სნაიდერი ადგილზევე გარდაიცვალა. დანი გადარჩა, მხოლოდ ფეხები დაუზიანდა.

სნაიდერი 5 ოქტომბერს დაკრძალეს და ამ მომენტის ამსახველ ფოტოებსა და სატელევიზიო კადრებში მთელმა მსოფლიომ იხილა, რა დღეში იყო ჩვენი გმირი. 22 წლის გულღია და ბუნებით მხიარული ბიჭი ფერწასული იდგა თავისი უახლოესი მეგობრის საფლავზე. იგი ერთი ხელით ყავარჯენს ეყრდნობოდა, მეორეთი — პოლიციელს. ეს მარტო ფიზიკური ტკივილი როდი იყო. დანის სინდისი აწუხებდა, რაკი უნებლიედ მეგობრის დაღუპვაში მიუძღოდა ბრალი, ამ დანაშაულის გრძნობით იძინებდა და იღვიძებდა. როგორც თავად ამბობს, ეს გრძნობა მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება.

შემდეგ დანიმ ფიზიკური ტკივილიც დაძლია და ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც. ცხადია, ამას დრო დასჭირდა და როცა იანვრის ბოლოს „ატლანტაში" დაბრუნდა, მისი თამაშის დონე საკმაოდ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მან ხალხი ორი სეზონის განმავლობაში მიაჩვია. იქნებ ამიტომაც ვერ იბრძოლა მისმა გუნდმა პლეი ოფში გასასვლელად, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს დანიმ ნელ-ნელა დაიბრუნა ჩვეული ფორმა. და როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის საკითხი დადგა, არც ნაკრების თავკაცებს უფიქრიათ ბევრი და თავადაც არც შეყოყმანებულა. დანარჩენი კი საკუთარი თვალით ვნახეთ.

კანადელები თავიდან ვერ გამოიყურებოდნენ დამაჯერებლად. გუნდს შეთამაშება სჭირდებოდა, მაგრამ ჰიტლი მაშინაც საუკეთესო იყო თავის ნაკრებში და ყველა მატჩში გამოირჩეოდა. როდესაც კანადური მანქანა სრული ძალით ათამაშდა, ლიდერმაც განსაკუთრებით გაიბრწყინა. კანადამ სწორედ დანის გოლის შემდეგ შეიტანა გარდატეხა ფინალური მატჩის მსვლელობაში და გამარჯვების გოლიც მისი პასის შემდეგ გავიდა. თავად ჰიტლიმ კი ტურნირის უძვირფასესის, საუკეთესო ფორვარდის, ბომბარდირის, მეგოლის ტიტულები დაიმსახურა და, ცხადია, ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც შევიდა. დაგვეთანხმებით, ჰიტლის საამსეზონო თავგადასავალი ძალიან წააგავს ჰოლივუდში გადაღებულ ფილმს თავისი „ჰეფი ენდით", მაგრამ ამ შემთხვევაში ცხოვრება კინოს სიუჟეტზე უფრო დრამატული და ამაღელვებელია.

... ჰიტლი უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია, შარშანაც იყო ნაკრებში და ტურნირის საუკეთესო ექვსეულშიც შევიდა. ალბათ, სტენლის თასის ჯერიც დადგა.

NHL პლეი ოფი

10 მაისი

აღმოსავლეთი

ტამპა 1:1 ფილადელფია

ტამპა 2:6 ფილადელფია

0:3 0:2 2:1

0:1 ლეკლერი (2), 0:2 რეკი (9), 0:3 კაპანენი (12), 0:4 მალახოვი (27), 0:5 პანდზუში (40), 0:6 ტაიმანდერი (44), 1:6 ფედოტენკო (54), 2:6 სან ლუი (58)

ჯირო დიტალია 2004. 8-30 მაისი

მე-3 ეტაპი. 11 მაისი. პონტრემოლი — კორნო ალე სკალე. 191 კმ

1 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	5 სთ, 46 წთ, 9 წმ
2 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	+15 წმ
3 ფრანკო პელიზოტი (იტალია) ალესიო-ბიანკი	+16 წმ
4 ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიკ ანარია	
5 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	ორივეს იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	16 სთ, 13 წთ, 58 წმ
2 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	+13 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	+21 წმ
4 ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიკ ანარია	+29 წმ
5 გერჰარდ ტრამფუში (ავსტრია) აკუა & საპონე	+41 წმ

შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

დანდი იუნ. 3:2 დანფერმლაინი

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXVI ტური

ლანსი 1:3 ოსერი

ბორდო 3:0 ასე

ავსტრია

I დივიზიონი. XXXIV ტური

ვიორგლი 1:1 ტიროლი

აუსტრია (ლ) 2:0 უნტერზიბენბრუნი

ბლაიბერგი 2:1 ლუსტენაუ

ლინცერი 2:0 კაპფენბერგი

შვედეთი

სუპერეტა. IV ტური

ჰეკენი 1:1 გაის

ბრომაპოიკარნა 1:3 ნორჩიოპინგი

სლოვაკეთი

I ლიგა. XXIX ტური

ბანსკა ბისტრიცა 3:2 დუბნიცა

პეტრჟალკა 0:3 ჟილინა

ტრნავა 1:1 პუხოვი

ტრენჩინი 1:0 სლოვანი

სლოვენია

სი მობილ ლიგა
XXIX ტური

ოლიმპია 2:1 ნოვა გორიცა

სარბიელი გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ იწვევს უცხოურ და შინაურ ჯალათბურთზე, რაგბიზე, ჯრივზე, ველოსპორტზე, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებზე წერის მსურველ ახალგაზრდებს.

15-დან 17 საათამდე მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად წერა შეუძლია და ერჯვევა ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებში.

სასურველია რომელიმე უცხო ენის ცოდნაც.

REUTERS ლისაბონიდან

ბელემის სასახლეში

ლაურუსის ჯილდოები სპორტისთვის იგივეა, რაც ამერიკის კინოსთვის „ოსკარი“. პრიზებს სულ ნაირგვარი სახეობების წლის მანძილზე თავგამოჩენილ სპორტსმენებს გადასცემენ. წლეულს ცერემონიალი ლისაბონის ზღვისპირა უბან ბელემში, იქაურ კულტურის სასახლეში ჩატარდა, მოქმედ და ყოფილ ლეგენდათა ოდენობა ულევი იყო: ლუიშ ფიგუ და მისი ცოლი ელენი, ბორის ბეკერი და მისი ახალი ცოლი კაროლინ როშერი, დიადი ნადია კომანეჩი და ავსტრიელი ჰერმან მაიერი, სამთო თხილამურობის ჰერმინატორი, რომელმაც ვაჟკაცურად ჩაკოცნა პრიზი.

REUTERS ლისაბონიდან

ბრასი

ბრასი ჯანიანი ცურვაა, ჩასუნთქვის დიდი ოსტატობა სჭირდება. მადრიდში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ფრანგმა უგე დუბოსკმა მეორე ადგილი აიღო სწორედ ბრასის შესარჩევ გაცურვაში და ფინალშიაც გავიდა.

REUTERS მადრიდიდან

REUTERS ბუენოსაირესიდან

ზიზუს ალალი საქმე

ზიზუ შვეიცარიას ჩასულა და იქაური ლეიკემიით ტანჯული ბავშვების კლინიკა მოუნახულებია. ამასწინათ გამოვიდა ფოტოალბომი, რომელშიც 85 ცნობილი მსახიობისა და სპორტსმენის ფოტოა დაბეჭდილი. წიგნის გმირებს ერთი რამ აერთიანებთ — ყველა აღბეჭდილს ზინედინ ზიდანის ბუცები აცვია. სწორედ ამ წიგნის გაყიდვით მიღებული თანხა გადაეცემა ევროპის ლეიკემიის ასოციაციას, რომელსაც ზიზუ სპონსორობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge